



გაზეთი გაშლილს 1999 წლიდან

ქართულების გადარჩენა

როლი



E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№393 (452) 10-17 იანვარი 2017 წ. სხალხო მოკრობა „სამეგრელო“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – აააკი შენიძა

გილოცავთ ახალ 2017 წელს



| იანვარი | | | | | | |
|---------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

| თებერვალი | | | | | | |
|-----------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | | | | |

| მარტი | | | | | | |
|-------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | |

| აპრილი | | | | | | |
|--------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | | | | 1 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | | | | | | |

| მაისი | | | | | | |
|-------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | |

| ივნისი | | | | | | |
|--------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | |

| ივლისი | | | | | | |
|--------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | | | | 1 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | 31 | | | | | |

| აგვისტო | | | | | | |
|---------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | |

| სექტემბერი | | | | | | |
|------------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |

| ოქტომბერი | | | | | | |
|-----------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

| ნოემბერი | | | | | | |
|----------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | | |

| დეკემბერი | | | | | | |
|-----------|----|-----|-----|-----|-----|-----|
| კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ |
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | | |



რეპლიკა ერთი ინტერვიუს ბაში

ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ლერი ალიმონაკი ჩვენი მეგობარი და თანამებრძოლია. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი ქართველი კაცი საოცარი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა მის კოლეგებს შორის. სწორედ ლერი ალიმონაკის დიდი დამსახურებაა, რომელსაც ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ დიდი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის მიმდებარე შემოქმედებას. სწორედ ტერენტი გრანელს ეძღვნება ბატონი ლერის ეს წერილიც.

მეტი ყურადღება, პროფესორ!

1966 წლიდან, რაც ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და პოეზიის შესწავლას მიუყვება ხელი, არასოდეს მიცდია ჩაერთო-ლიყავი იმ აბსურდულ დავაში, რითაც შეიძლება მცირედით მაინც შეზღუდულიყო ამ წმინდა პოეტის სახელი. აბსურდი და ცილისწამება კი ამ ბოლო წლებში, იცოცხლე, მრავალად დაატეხეს თავს ამ ისედაც მოწამე კაცს. „მრავალ ლეგენდებს იტყვიან ჩემზე“ – ამბობს გრანელი ერთგან. და, მართლაც, სიცოცხლეშიც მრავალი ლეგენდა შეითხზა მასზე, სიკვდილის შემდგომაც, აწივ მრავალს იტყვიან. მაგრამ ლეგენდა ლეგენდაა. მას თავისი ფორმა, ხიბლი, მიმზიდველობა ახლავს. ხოლო, როცა საქმე შეგნებულ თუ შეუგნებელ პროფანაციასთან გვაქვს, დუმილიც აბსურდულად მერყეობს. როგორცა ჩანს, ყველაფერს თავისი ალო, სახლვარი აქვს. გულისხმობს წავიკითხე გაზეთ „ილორის“ 6-13 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ პროფესორ თამარ პაიჭაძისა ტერენტი გრანელზე. ამბავი, რომელსაც ინტერვიუ გვთავაზობს, ცნობილია პოეტის უახლოესი მეგობრების მოგონებებიდან, მოთხრობილი ქართული ენით (იხ. „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ნაკადული, 1984). ვფიქრობდით კი, ინტერვიუში რაღაც ახალს აღმოვაჩინდით, რაც მანამდე არ ვიცოდით, თუმცა ამოდ. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი, რბილად რომ ვთქვათ, ინტერვიუში დაშვებული ლაფსუსებია.

მეფიქვთ ტექსტს. 1. პირველივე აბზაცი ფალსიფიკაციით იწყება. აქ მოხმობილია ტერენტი გრანელის წერილიდან ფრაგმენტი, რომლის ადრესატი, ინტერვიუს თანახმად, თამარ ჯაფარიძეა. გარდა იმისა, რომ წერილი დედნი-სეული ტექსტის უხამს ინტერპოლაციებს შეიცავს, სინამდვილეში მისი ადრესატი თამარ ჯაფარიძე კი არა, კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილია, პოეტის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი. ხოლო ინტერპოლაციის შედეგად გაყალბებულია წერილის ინტოლოგიური შინაარსი. მას სასიყვარულო ბარათთან არაფერი აქვს საერთო. აღნიშნული წერილებისა (2) და ლექსების (3) დედნები ჯერ კიდევ 1967 წელს გადმოცა კომპოზიტორმა, მაშინ, როდესაც კარდაკარ დავიდოდი და ტრაგიკულად დაღუპულ პოეტზე ახლოებულ-მეგობრებისგან მოგონებებსა თუ გაყვითლებულ ხელნაწერებს ვკრებდი. ლექსებიცა და წერილებიც 1979 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ ტერენტი გრანელის ერთგვარულ გამოვლენებზე, ხოლო დედნები სალიტერატურო მუხეუმის ხელნაწერთა ფონდს ჩავაბარე. ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიტო ქალბატონ პროფესორს გადაეხედა ამ გამოცემისთვის.

2. ასევე არ იქნებოდა ურიტო გადაეთვალისწინებინა მოგონებათა წიგნი ტერენტი გრანელზე „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, გამოცემული „ნაკადულის“ მიერ 1984 წელს. ვფიქრობ, დაინტერესებდა ლადო გუდიაშვილის მოგონება, სადაც დიდი ხელოვანი პარაღელს ავლებს ნიკო ფირსმანაშვილისა და ტერენტი გრანელის ცხოვრების ერთნაირ სულიერ ბედზე. ამ ობოლ სულთა ბედისწერულ კავშირს ადასტურებს ტერენტის ბრწყინვალე სონეტი „ფიროსმანიშვილს“, დაწერილი ჯერ კიდევ 1920 წელს, მაშინ, როდესაც პოეტი სულ რაღაც წელიწადნახევრის-ორი წლის წამოსულია თბილისში. ბატონი ლადო ამ ორი დიდი შემოქმედის ცხოვრების მოწმეც იყო, მონაწილეც (მხატვრულად მან გაა-

ფორმა ტერენტი გრანელის მესამე წიგნი, გამოცემული 1926 წელს) და ალბათ აჯობებდა, ქალბატონ პროფესორს აღენიშნა ამის თაობაზე, როგორც პირველწყაროზე, ისტორიული პერსპექტივა რომ არ დარღვეულიყო.

3. 1967 წლიდან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა გეგე შანავასთან, იაკობ შანავას ვაჟთან. სოსუძისა და აფხაზეთის „საქწიგნის“ მმართველი, თავდაც დიდად წიგნიერი, ახლო მეგობარი იყო ჩვენი გამოჩენილი მწერლებისა, პოლიტიკური მოღვაწეებისა. ყოველნაირად მიმართავდა ხელს ტერენტი გრანელის წიგნების გამოცემაში (მძიმე წლები იდგა, საბჭოთა ცენზურა ფიხლად იდგა თავის სადარაჯოზე). ბატონ გეგეს ცნობით, იაკობ შანავამ სარეკომენდაციო ბარათი ტერენტის სამსონ ფირცხალავასთან გაატანა, „სახალხო საქმის“ რედაქტორთან, სადაც, სიმონ ყაუხჩიშვილის მოგონების თანახმად, ერთხანს მუშაობდა კიდევ პოეტი („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ნაკადული, 1984). არსად, არავის მოგონებაში, ამ კონტექსტში ზაქარია ჭიჭინაძე და იოსებ იმედაშვილი ნახსენებია არ არის. ის კი ნამდვილია, რომ ეს ორი გამოჩენილი პიროვნება, თავიანთი დემოკრატიული, ქრისტიანული ბუნების გამო დროდადრო იფარადენენ თავისთან ამ უსახლკარო, მიუსაფარ პოეტს.

4. ტერენტი გრანელის უახლოესი მეგობრების ცნობით, თბილისში დაბრუნებულ და ამ ქალაქში დამკვიდრებულ თამარ ჯაფარიძეს ტერენტი ყველგან თავს არიდებდა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რესპოდენტი. ქვემოთ კი წერს: „ტერენტი სადილად ერთ ქალბატონთან დადიოდა, რომელიც ვერის სასაფლაოსთან ახლოს ცხოვრობდა. ერთხელ, ამ ქალის სახლის ფანჯრიდან თამარ ჯაფარიძე დაუნახავს, ფეხზე წამოიჭრა თურმე და სხვა ფანჯრიდან მეორე მხარეს გადახტა“. ფანჯრიდან კი არ გადახტა, როგორც ამას ინტერვიუში ვკითხულობთ, არამედ „ტერენტიმ კიბისკენ გაიხედა, თოფნაკ-რავივით წამოიჭრა და ჩემს ოთახში შევარდა“, როგორც ამას პოეტის უახლოესი მეგობარი, დავით კობიძე გადმოგვცემს („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ნაკადული, 1984). ფაქტების ინტერპრეტაცია შესაძლებელია, ოღონდ – არა გაყალბება. იქნება ნიუანსია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ტიპის პოეტის ქარაქტეროლოგიის შესასწავლად, როგორც ტერენტი გრანელია. არ არის გამორიცხული, დადგეს დრო და მისი პიროვნება და ცხოვრება, როგორც მთელი მისი შემოქმედება, ფსიქოლოგ-ფსიქიატრების კვლევის საგანიც კი გახდეს. ამიტომ დავეყრდნობთ პირველწყაროს, ობიექტურ სინამდვილეს, რა საჭიროა უტრიალბა?!

5. ამ ეპიზოდის ქვემოთ რესპოდენტს მოჰყავს ტერენტი გრანელის ერთი სტროფი, რომლითაც თურმე პოეტს თავისი გაცრუებული სიყვარული „გამოუტრიალებია“. ამგვარი განწყობილების საილუსტრაციოდ თუ გასამყარებლად, ტერენტი გრანელი იმ ტიპის პოეტია (თუ დავარდევთ მის ვეხისტენციალურ კანონზომიერებას), შეიძლება მიიღოს მის შემოქმედებას მოუფხმობთ. გარდა ამისა, და, რაც მთავარია, მოხმობილი ავტორისეული ტექსტი აქაც ფალსიფიცირებულია. სტროფი ეპილოგია ლექსისა „ციხის ელევია“ და ასე იკითხება:

*დრო ასეთია, ვღონდები ისევ,
დაბნელება ჩემი ოცნების მხარე.
არყოფნის დამეგე! შენსკენ მოვიწვევ,
არყოფნის დამეგე! შენ დამიფარე.
(რჩეული, საბჭოთა საქართველო, 1979)*

აღნიშნული ლექსის შექმნის საგულისხმოდ ისტორიას გვთავაზობს აკაკი ანდრიაშვილი თავის მოგონებებში („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ნაკადული, 1984). ხოლო ლექსი, ეს ჭკუშმარტი შედეგები, თავისი ინტოლოგიური არსით, არაფრით უკავშირდება სასიყვარულო თემატიკას, როგორც პირველსავე აბზაცში მოხმობილი წერილის ფრაგმენტი.

6. მოხმობილი სტროფის შემდეგ რესპოდენტი ისეთ სურათს გვიხატავს, თითქოს

ამ გაცრუებული სიყვარულის შემდეგ ტერენტი გრანელის შემოქმედებაში დაწვებულიყოს რაღაც „მეორე პერიოდი“, ანდა, სწორედ ამ გაცრუებული სიყვარულის შედეგი ყოფილიყოს მისი მარტივობა, გაუცხოება, განდგომა. არავითარი პირველი და მეორე პერიოდი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში არ არსებობს. ამგვარ კლიშეებს ნუ დაუვქმედებთ იმ პოეტს, რომლის აქტიური შემოქმედებითი ფაზები არ სცილდება შვიდ-რვა წელიწადს. რაც შეეხება მის გაცრუებულ სიყვარულს, ეს ერთი მწარე ეპიზოდია მის ცხოვრებაში, რასაც არაფრით შეედლო რაიმე არსებითი ზეგავლენა მოეხდინა პოეტის იმ უღრმეს სულიერ-ფსიქოლოგიურ წყობაზე, რაც დაბადებთივე, როგორც საღმთო განინიება, დაუჩვევლად იყო ყოფიერების შემეცნების მის ვეხისტენციალურ-მისტიკურ წილში, რისი დასტურიც მისივე პოეტური მსოფლმხედველობა გახლავთ. ამ ფაქტორების უგულვებელყოფას და მის მიჯაჭვას მხოლოდ სოციალურ, პოლიტიკურ, გენეალოგიურ, ეროვნულ საწყისამდე, რასაც ასე თავგამოდებით ცდილობენ მავანი, მიყვარო ტერენტი გრანელის პოეტური მსოფლმხედველობის დეველვაციამდე. ხოლო მისი პიროვნულ-ფსიქოლოგიური, ცხოვრებისეული კრიზისი უკავშირდება არა მის გაცრუებულ სიყვარულს, ანუ „მორალურ ფისკოს“, როგორც ინტერვიუ გვამცნობს, არამედ მთელს ქვეყანაში საყოველთაო ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას, რელიგიის, ყოველივე საკრალურის დვენას, სულიერ-შემოქმედებითი ცხოვრების დეკადანსი. ეს გახლდათ 1928 წელი. ყოველივე ამის მიღმა დარჩენილი პოეტისთვის, როგორც სულიერ ემიგრაციაში გადახვეწილი ღვთის მადიებელი უფლი პილიგრიმისთვის, ვინც არ ინდობა მონაწილეობა მიეღოს ამ ეპოქალურ დეგრადაციაში, ხორციელი კატასტროფა გარდუვალი იყო:

*მხოლოდ პოეტის ჩემი და სხვათა
დარჩება ლექსი, გულით ნაწერი.
და როგორც გემი, დვას ქარიშხალთან
ეს ათას ცხრაას ოცდარვა წელი.*

7. რესპოდენტი გვამცნობს: ტერენტი გრანელი „ცხოვრობდა ქუჩაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ“. ტერენტი გრანელი ქუჩაში არ გარდაცვლილა. ის ავადმყოფი აიყვანეს ქუჩიდან, მწვავე დიზენტერიით დაავადებულად, და მოათავსეს საავადმყოფოში როგორც რიგითი მოქალაქე. და არა როგორც პოეტი ტერენტი გრანელი. ოღონდ მოათავსეს არა მიხეილის საავადმყოფოში, როგორც ინტერვიუშია დამოწმებული, არამედ არამიანცისეულ საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე დღეში, 1934 წლის 10 ოქტომბერს, გარდაიცვალა. სწორედ ამ საავადმყოფოს პროსპექტურიდან გადაასვენეს პოეტი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

8. 1924 წლის 21 დეკემბერს, „მემენტო მორი“-ს გამოსვლის შემდეგ, ტერენტი გრანელს მართლაც გამოუცეს გაზეთი, სახელწოდებით „ტერენტი გრანელი“. რესპოდენტის მიერ ჩამოთვლილი მწერლებისგან აღნიშნული გაზეთში მხოლოდ ვასილ ბარნოვის წერილია დაბეჭდილი, სათაურით „გრანელის პოეზიისათვის“. კონსტანტინე გამსახურდიასა და ვალერიან გაფრინდაშვილის წერილები კი უფრო ადრე, 1922 წელს, გამოქვეყნდა ჟურნალ „ილიონში“ (№2, 1922) და გაზეთ „ტრიბუნაში“ (№178, 1922). რაც შეეხება ზაქარია ჭიჭინაძეს, მას საერთოდ არ დაუწერია წერილი ტერენტი გრანელზე.

9. ბუნდოვანი და მიკიბულ-მოკიბულია რესპოდენტის მომდევნო მსჯელობაც. ტერენტი გრანელი მართლაც სიმპათიით იყო განწყობილი „ციხისეგრანელისადმი“ (პირველ ხანებში მაინც), განსაკუთრებით კი ვალერიან გაფრინდაშვილისა და ტიციან ტაბიძისადმი. მაგრამ ის, რომ ტერენტი გრანელი თავისი ცხოვრების წესით ბაძავდა მათ, ანდა საერთოდ ვინმეს ბაძავდა, მტკნარი სიცრუეა. ინტერვიუს ავტორი წერს: „... პაოლოს მიანდა, რომ მას (ანუ ტერენტის) არ ჰქონდა უფლება, „ციხისეგრანელს“ მიჰკედლებოდა“. ტერენტის

არც არასოდეს უცდია სურვილიც კი არასოდეს გასსინათა ამ ორდენს მიაკედლებოდა. როგორ ინდომებდა „მიჰკედლებოდა“ იმ ორდენს, რომლის პოეტური ესთეტიკაც მისთვის მიუღებელი იყო. ის განმარტობით იდგა ქართული პოეზიის პარნასზე, ისევე როგორ დვთაებრივი გალაკტიონი. ხოლო ხელდახელ ჩხუბი პაოლოსა და ტერენტის შორის, რუსთაველის პროსპექტზე სრულიად სხვა მიხეზთა გამო მოხდა, რაც გადმოცემული აქვს თავის მოგონებებში ტერენტი გრანელის უახლოეს მეგობარს გენო ქელბაქიანს („ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა“, ჟურ. „ციხისეგრანელი“, №11, 1966; №1, 1967).

10. რესპოდენტი გვამცნობს: ტერენტი გრანელი „პროლეტარი პოეტებიდან ხარტონ ვარდოშვილთან მეგობრობდა“. ხარტონ ვარდოშვილი არასოდეს ყოფილა პროლეტარი პოეტი არც სულიანკვეთებით, არც მათ გაერთიანებაში მიუღია ოდესმე რაიმე მონაწილეობა. თავისი პოეტური ბიოგრაფიითა და განწყობილებებით, იგი თუ სადმე იდგა, ყველაზე ახლო „ციხისეგრანელისადმი“ იდგა. პირადად ვიცნობდი, ვმეგობრობდი კიდევ. რომ გავიცანი (1967), სწულეების გამო სახლიდან ვეღარ გამოდიოდა. მის ხელნაწერ მოგონებას ტერენტი გრანელზე, ჩემდამი გამოგზავნილ წერილებსა და მოძენილ ლექსს წლების განმავლობაში სათუთად ვინახავდი, რომლებიც ამჟამად სალიტერატურო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება. თუ ქალბატონი პროფესორი წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებში ჩახედვას თაკილობს (რაც მისი, როგორც მკვლევარის, პირდაპირი ვალდებულებაა), ქართულ ენციკლოპედიაში მაინც ჩაეხედა. ამგვარ გამაოგნებელ შეცდომებს ხომ აღარ დაუშვებდა?!

11. გალაკტიონისა და ტერენტის ეს გახმაურებული დიალოგი, დამოწმებული ინტერვიუში, შედგა არა ქუჩაში, არამედ ტერენტის „ბინაში“, მთაწმინდაზე. ეს ეპიზოდი მოთხრობილი აქვს გენო ქელბაქიანს თავის მოგონებებში. საინტერესოა, რა მიზანს ემსახურება ფაქტების ამგვარი ფალსიფიკაცია?! და საერთოდ, როდესაც ქალბატონ პროფესორს სხვათა წიგნებიდან თუ შრომებიდან რაიმე ფორმულირება, გენეალოგი, რაიმე ფაქტი მოჰყავს, კეთილი ინებოს და პირველწყარო მიუთითოს.

12. ქალბატონი პროფესორი კიდევ ერთ დაუსაბუთებელ ვერსიას გვთავაზობს: „ტერენტი გრანელი პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა“. რა პარადოქსულიც უნდა იყოს, არათუ არ ერეოდა, სამწერლო ასპარეზზე გამოდის, როგორც პოლიტიკოსი. ამის დამადასტურებელია მისი პუბლიცისტური წერილები, გამოქვეყნებული 1917-1921 წლებში „სახალხო საქმეში“ (რედაქტორი სამსონ ფირცხალავა), „ახალ ნაკადში“ (რედაქტორი ალექსანდრე წერეთელი), „ტრიბუნაში“ (რედაქტორი სიმონ ხუნდაძე), სადაც პოეტი დაუფარავად აცხადებს თავის მრწამსს, თავის პოლიტიკურ-ეროვნულ შეხედულებებს. ამის დასტურად გამოცემილობა „ინტელექტმა“ 2013 წელს საგანგებო წიგნიც გამოსცა ჩანაწერების სერიით: „ვღვაწერ საოცრების კარებთან“, რაც ნათელს ჰფენს პოეტის იმდროინდელ მოღვაწეობას. მართალია, ამ წლების შემდეგ პოეტი თავის პოლიტიკურ შეხედულებებზე დუმდა (ისევე, როგორც თავის პირად ცხოვრებაზე), მაგრამ ეროვნულ ტკივილებს ის დროდადრო მხატვრულად ტრანსფორმირებულ სტრიქონებში აიდუმალებდა. ამგვარი სტრიქონები კი მრავლად არის გაბნეული ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. როდესაც 1924 წლის აჯანყება ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახრჩვეს, გადმოცემით, ტერენტი სშირად უნახავთ იმ მიდამოებში, სადაც ახლა ვაკის სასაფლაოა, ხევისპირზე, ხეში ჩაყრილ დახვრეტელ თანამომძემ რომ ივლიდა:

*ახლა ეს ფიქრი სხვა სამარვა,
მოვიდა ქარი, ხე შეარხია.
და საქართველო ეს ის მხარვა,
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.
ლერი ალიმონაძე*

როგორ სვლიან ახალ წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

სახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ნებისმიერი მათგანის მიზანი ერთია – მოხიბვითი დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვალი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს. ახალ წელს საქართველოში სწორად „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან პირველ იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. ადრე სახალწლოდ ცხვებზე ადამიანის ფორმის პური ეწ. „ბასილას კვერები.“

ახალი წელი სვანეთში

ახალი წლის წინა დამეს სვანეთში აცხობენ ბევრ ყველიან პურს, რომელთაგან ერთი სხვებთან შედარებით დიდია და უშაში ჯვარი აქვს გამოხატული. გიდელში ჩააწყოთ თავს, ყველს, ხორცსა და სხვა ათასგვარ სანოვარს და სახლის გასავალ კარებზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს.

მეკვლე კარებზე დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „ყორ ჩემკარდ, ყორ ჩემკარდ!.. (კარი გააღეთ) ღერეთში ყორ ამღვა, ყორ ჩემკარდ! (ღერეთს წაადგინე მომაქვს, კარი გაიხილეთ!)“ სახლში შესვლისას კერას სამჯერ შემოუვლის, დიდ ჯვარიან პურზე დააწყობს ტკბილეულს და ფულს, ყველას დაუვლის და დღესასწაულს ულოცავს.

ახალი წელი სამეგრელოში

სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ვეგებებიან.

სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთული ჩიხილაკით და ღობის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ სახლში შემოდის, ჩიხილაკს კუთხეში მიყვებდა, ჯამს იქვე მიუდგამდა და თვითონ სახალწლო ტაბლას მიუჯდებოდა, რომელზეც ელაგა: ღორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბურებდა“. საუზმის შემდეგ კი იწყებოდა თუთის წიკვლებით სახალწლო მილოცვები.

ახალ წელიწადს სამეგრელოში მამლის ყვილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგებოდა მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, სახალწლო გობს სანოვარით დატვირთულს, მორთულ ჩიხილაკს და ცარიელ ჩაფს იღებდნენ და მარნისკენ მიდიოდნენ. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმაიმოუდებდა სახალწლო გობს მიწაზე დგამდა, ჩაფს ღვინით გაავსებდა და დაწოლილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას სთხოვდა. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებს და წმ. ბასილას გვეყვება, რომ მას ამ კაკალით ავესო მისი ოჯახი ყოველთვის სიკეთით. ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართებოდა და ოჯახის წევრები ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ.

ახალი წელი ბურიაში

გურულები ახალ წელს, იგივე „კალანდას“, როგორც მას ისინი ეძახიან, აღნიშნავენ ჩიხილაკის მორთვით, ხის თევზზე აწყობენ ხაჭაპურს, ღორის თავს, ტკბილეულსა და ღვინოს და სვამენ ბედნიერებისა და კეთილდღეობის სადღეგრძელოს. გურულების შობა – კალანდის ამბავი კი ასე დადგენილია... რაც არ უნდა მშრალი იყოს ზამთარი, ძველთა ახალ წელს მაინც გათოვდებო, ამბობენ გურიანში და მართლაც არიან – 13 იანვრის დამეს ყოველთვის თოვს, დგება ნამდვილი ახალი წელი – კალანდა... ვიდრე კალანდობის დამე შემოვა, წინასწარ საცეცხლედ ცხემლას არჩევენ და 13 იანვარს ბუხარში შეუძახებენ. სანამ 12 საათზე თოფების გამაყრუებელი ბათქაბუთქი არ ამტყვარა, სოფელში მხოლოდ ძაღლების ყევა, შუშის ტკაცუნის ისმის... მთებს ჩახუტებულ პატარა გურიაში კალანდა ჩიხილაკთან ერთად შემოდის. „კალანდა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ახალი წლის პირველ დღეს

და ფრაზები: „საკალანდო პური და ღვინო“, „საკალანდო ღორი“, „ღორის ყბა“, კალანდის დღესასწაულს უკავშირდება.

ახალი წელი იმერეთში

მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსს ევალდებოდა, ხორავით სავსე ხონით სამჯერ წაღმა შემოეფლო სახლისთვის და უფლისთვის გამრავლება, ჯანმრთელობა, ხვალი და ბარაქა ეთხოვა. ხონაზე ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური, ღობიანი, ღერდილის პური და ტკბილი კვერები ელაგა. სახლისთვის სამჯერ შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი კერიანში შედიოდა ოჯახის ყველაზე ხნიერ წევრთან ერთად, რომელიც მოგიზგიზე კუნძს რამდენჯერმე დაკრავდა ჯოხს და აშლილ ნაპერწკლებს ასეთ ლოცვას დაადევნებდა: ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი, ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი; დაე, ეს წელი ამ ნაპერწკლებით უხვი იყოს.

ახალი წელი რაჭაში

რაჭაში კალანდობისას ოჯახის ერთი წევრი წავიდოდა ტყეში, მოიტანდა მარადმწვანე კელიანი და კურკიანი მცენარით სავსე მარხილს. ეს მარხილი კალაზე იდგებოდა წაღმით აღმოსავლეთისკენ ნათლისგებად. ნათლისგებას იკვებოდა საკალანდო ღორი, აცხობდნენ ღორის ქონიან განატყვს – ღორის სალოცვილს. ვაშლობამდე ბიჭს ან ოჯახის უფროსს კაცს ერთი ჭიქა ღვინო უნდა წაეღო საღორესთან და იქ შეელოცა: „წმინდა ბასილამ ამრავლოს ღორებიო“. ნავაშმევს შეუდგებოდნენ სამეკვლოვარო სამზადისს. აცხობდნენ დიდ ღობიან ქონიან განატყვს, რომელსაც თაფლით, ვაშლით და თეთრ ფულთან ერთად დებდნენ გვერგზე.

მეკვლეს კი კარებს მხოლოდ მას შემდეგ უღებდნენ, რაც სამჯერ დაარწმუნებდა, რომ ოჯახისთვის მოჰქონდა ბარაქა და ჯანმრთელობა.

ხემო რაჭაში აცხობდნენ ბაჭულს, კაც-ბასილას და დიდ პურს „კერია-ბურია“-ს, რომელსაც საუზმის დროს ოჯახის ყველა წევრს უნაწილებენ.

ახალი წელი მცხეთა-ჯავახეთში

საღამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა სახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნივგვის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ – მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჭუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვედნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ ცხვებზე დიდი და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს. შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამ-წიწილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებსაც: ცელს, გუთანს, ძროხის ძუძუებს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას. ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს სახალწლო ტაბლაზე დააღებდა. შუაში ეხვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარდინებული. თაფლი და ფესებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰაღვას, გოზინას და ტყვიას. ამ ტაბლას ოჯახის უფროსი კერასთან მიდგამდა. მამლის ყვილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით: „ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლშიდგი გწვალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწვალობდეს წმ. ბასილას მადლი“.

ახალი წელი მართლ-პახეთში

ქართლსა და კახეთში ახალი წლისთვის ჩამიხიან პურებს აცხობდნენ, ისე რომ ოჯახის ყოველს წევრს თითო ჩამიხიანი პური შეხვედროდა. ახალი წლის დამეს ყველა თავის ჩამიხიან პურს ტეხავდა ხოლმე. ჩურჩხელებს, ჩირს, მოხარშულ დედალს და ღორის თავს ჩამიხიან პურებთან ერთად ხახალაზე აწყობდნენ ახალი

წლის დამეს და თან არაყსა და ღვინოსაც მიუდგამდნენ ხოლმე. გამოენიხას ოჯახის უფროსი გარეთ გადიოდა და სახლს სამჯერ შემოუვლიდა. შინ შემობრუნებისას კი ოჯახის წევრებს ახალ წელს ულოცავდა და საგანგებოდ მომზადებული პურიანი ჯამიდან ყველას თითო ლუკმას უდებდა პირში.

ახალი წელი ფშავეში

ახალ წელს შესახვედრად ფშაველები წინა დღითვე ემზადებიან და ამ დღეს „ლიტანიადღეს“ უწოდებენ.

სახალწლოდ ხვეისბერები ხატში მიდიან, იქ წმინდობენ და ხატს დამეს უთენებენ.

ლიტანია-საღამოს ოჯახის უფროსი კაცი ხატშიც მიდის, რომ ხატს წელიწადობა მიულოცოს. ყოველ შემთხვევაში, თემი მოვალეა, ხატში ამ დღეისათვის ორი კაცი მაინც გაგზავნოს. ხატის ეს მეკვლეობა ზოგიერთ თემში მორიგეობით იცინა, ზოგან კი ხატში კომლზე კაცი მიდის და თან მიაქვს „საკაცო“-დ მამაკაცზე თითო სანთელი, ხშირად, სახმელი და ხშირად საკლავიც მიჰყავთ.

ხვეისბერი სანთლებს აანთებს და დამის მიუვლებს ამწვალობებს. ხატში ახალ წელიწადს დილას მეკვლეობა ხატის დარბაზს უნდა შეუკვიროს:

„ღმერთმა გაგამღიეროს, ჩვენო სალოცავო, ყმები გაგიმრავლოს, ზიანი ნურასა მოგცეს, მტერი დაგიმარცხოს, კეთილად მოგიხდინოთ ჩემი მეკვლეობა შენა და შენს ყმათა“-ო.

შემდეგ ხვეისბერი ღულიან ჯამს გამოიტანს, შიგ პურის ლუკმებს ჩაყრის და იქ მყოფთ ახალ წელიწადს მიულოცავს, თოვლსაც მიაყრის და ეტყვის: „ასე თეთრად დამიბურდითო“. ისინიც უპასუხებენ: „გვერმეც შენ შენიათო“.

დიასახლისი კარის ზღურბლთან მეკვლეს სახალწლო ხონჩას მიაგებებს, რომელზედაც ალაგია ხილი, ხარის გოგა, თაფლიანი ჯამი, პურ-ყველი, ხინკლები, თეთრი მატყლი და სხვა. მეკვლე აიღებს „ხარის გოგას“ და კარის ზღურბლიდან სახლში სამჯერ შემოავიწყებს. ბედისკვერი თუ „წაღმა დაღვა“ და ის მხარე, რომელზედაც ხარ-გუთანი და საოჯახო საქმეებია გამოხატული, ზვეით მოექცევა, ეს ნიშნავს კარგ მოსავალს და ოჯახის ბარაქიანობას, წინააღმდეგი შემთხვევა კი ოჯახისათვის ცუდის მომსაწავლებელია. შემდეგ მეკვლე სახლში შემოდის და ასე დაილოცება:

„ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კარგადმი მოგიხდებათ ჩემი მეკვლეობა, დიდი გიმატოს ღმერთმა, ახალის წლის გამოცვლამ გიმატოთ თავის კაცით, საქონლით“ და სხვა.

ახალი წელი ხემსურეთში

ხვესურები „წელწადს“ დიდი სამზადისით ვეგებებიან. წინა დღით სახლსა და მის კარმიდამოს ასუფთავებენ და ყველანი ახალი ტალღავრით იმოსებიან. ოჯახებში სახალწლოდ არაყს ხდიან და ღულს ხარშავენ.

დიასახლისი სახალწლო კვერებს აცხობს. ერთს დიდ სამეკვლეო კვერს აცხობენ, რომელზედაც გამოხატულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობენ დროს უცქერიან და, რომელი გამოხატულებაც აიწვეს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისთვის აცხობს ბედობის კვერებს: თითოეულ ბედისკვერს თავისი ნიშანი აზის და, გამოცხობის დროს ვისიც აფუფავდა, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნება.

ახალწლის საღამოს ოჯახიდან ხატში გზავნიან მეკვლეს, რომელსაც მიაქვს არაყი და წელის სანთლები, რამდენიც ოჯახში ქუდოსანია. მეკვლეს დაბრუნებამდე ოჯახიდან არაყინ გავა.

ახალი წელი თუშეთში

თუშეთისათვის ზამთრის რიტუალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი წლის აღნიშვნა, რომელსაც ხალხი თავის ბედსა თუ უბედობას უკავშირებს. სახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყს

ხდიან და ღულს ადუღებენ. ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოცორის „ქრისტეს საგადალს“, მამაკაცების სახელზე „ბაცუკას“, ქალებზე „მრგვალ კვერს“. დიასახლისები ასევე აცხობენ სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს „კერის კვერს“, შემდეგ ამ ყველა კვერს ხონზე დააღებენ, ზედვე ადუღებ მატყლს, მარილს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არაყინ ახლებს. მეკვლეს სახალწლოდ ირწევს თითოეული ოჯახი, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე უწევია ერთი, მატყლი, ყველი და ტკბილეული. ოჯახში შემოსვლისას მეკვლე პურს შემოავიწყებს და იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწვალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“. ამის შემდეგ ოჯახის წევრები სუფრას მიუსხდებიან და იწყება სახალწლო ქეიფი.

ახალი წელი ხეზში და მთიულეთში

ახალი წელი ხვეისბერების სარიტუალო მსვლელობით იწყებოდა – ისინი დროშას ააბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატში. როგორც კი ხარები ახალი წლის დადგომას აუწყებდნენ, ტაძრიდან გამოსული ხვეისბერები ჯერ ერთმანეთს, მერე კი თემს მიულოცავდნენ ახალ წელს, მშვიდობასა და ბარაქას უსურვებდნენ. ამის შემდეგ წმინდა გიორგისა და მთავარდემოწამის სახელის სადიდებლად იკვებებოდა საკლავი და იწყებოდა ზემი და განთქმული შაირობა.

ახალი წელი სამაჩაბლოში

აქ მეკვლე აუცილებლად პატარა ბავშვი უნდა ყოფილიყო, რათა სუფთა გულითა და ხელებით სიკეთე შეეგნა ოჯახში. მეკვლეს ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ტკბილეული და კარტოფილის ხინკლები ეწყო. აქაურ სახალწლო სუფრას ამშვენებდა ხაჭაპურები, ხაბიზინები, გოზინაყი, მოხარშული დედალი.

ახალი წელი აფხაზეთში

ახალ წელს აქ განსაკუთრებულად არა 31 დეკემბერს, არამედ 13 იანვარს ხედებიან – ძველი სტილით. ამ დღეს „განახლება“ ანუ „სამყაროს შექმნას“ უწოდებენ. აჯირნიხუა ანუ ხეშუხამა (მეგრულად – ხელის დალოცვა) – ასე უწოდებენ ძველ ახალ წელს, რომელიც აფხაზეთში ოფიციალურადაა აღიარებული არასამეზო დღედ.

განახლების ანუ სამყაროს შექმნის დღესასწაული, საწყისი ქვეყნის წარმართული წარსულიდან იღებს და შაშვეს ღვთაების – მჭედელთა მფარველის თაყვანისცემასთანაა დაკავშირებული. ეს საქმიანობა აფხაზეთში, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. სამჭედლო თაყვისებურად წმინდა ადგილადაც ითვლებოდა – აქ წარმოქმნიდნენ ერთგულების ფიცსა და მნიშვნელოვან დაპირებებს.

შაშვეს მსხვერპლად ამ დღეს მამალსა და თხას სწირავენ. თანაც ეს, აუცილებლად, რიტუალურად სუფთა თეთრი თხა უნდა იყოს. მამალს კი ზუსტად იმდენს კლავენ, რამდენი ადამიანიც იხსლება მაგიდასთან.

ხეშუხამა სახლის ოჯახურ საკურთხეველში – „სამჭედლოში“ – მამის ხაზით ყველა ნათესავს შეკრებას. სხვა გვარის წარმომადგენლები – ცოლის და რძლის მხრიდან, სახლში რჩებიან.



ერთნაირი გეგმების შედეგად დაკარგული



ნებისმიერი წლის დეკემბერი განვლილი ერთწლიანი ცხოვრებისა და მუშაობის შედეგად მიღებული შედეგების შეფასებასა და დასაჯებას მიეძღვნება. დეკემბერში ხდება სახელმწიფოს მიერ გაწეული საფინანსო-ეკონომიკური და, რაც მთავარია, პოლიტიკური პარამეტრების გადახედვა-გაანალიზება, ახალი გეგმების დასახვა.

დეკემბერში, ყველა სახელმწიფო, ისე, როგორც მათი მოქალაქეები, ცდილობენ სახელმწიფო იხილონ გეგმების შედეგებს, წინსვლასა და ბუნდობლობას რომ მოუტანს მათ. ამ თვალსაზრისით არც საქართველოა გამონაკლისი. მისი სამომავლო გეგმები მარტო 2017 წელზე როდია გათვლილი, 4-წლიან საპარლამენტო მუშაობის პერიოდსაც ეხება.

საქართველოს ხელისუფლებამ წინ წაიგდო საქმე და დეკემბრის თვეში სათქმელი, ოქტომბრამდე არჩევნებამდე გეგმობდა. გეგმობდა სრული შემართებით, მტკიცედ, თავდაჯერებით და სამომავლო გეგმები მოკლე დროსავე წააგია. ღრუბლები იმდენად „შთამბეჭდავი“ გამოიყვიდა – ასე თვლის ის, რომ განმარტებაც აღარ ჩათვალა მიზანშეწონილად.

„კეთილდღეობა, სწრაფი განვითარება“ – განა რა ახსნა-განმარტებას მოითხოვს – ისედაც ნათელია ყველაფერი – იფიქრა მან. სიტყვით – ნათელია, მაგრამ საქმით ბუნდობლივად და რომ ეს ასეა, უმაღლეს დავრწმუნდით პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების დამტკიცებისთანავე. მაინც, რა თავბრუსხვევით სისწრაფით განვითარდა მოვლენები, რომ ღრუბლებად გამოტანილი **„კეთილდღეობა“** უმაღლეს რეგულაციულ დონეზე იქცა **„მეოცნებე“** ხელისუფლებაზე აყლილი ხალხისთვის. **„ოცნება“** იქით იყოს და პრემიერის ეკონომიკურ-საფინანსო პროგრამა რომ მხივით დაეცა ხალხს – ცხადზე უცხადებია.

უდავლოდ ცუდი გამოდგა საქართველოს მოსახლეობისთვის 2016 წლის დეკემბერი, თანაც ისეთი, 2017 წელსაც რომ გაუსაძლისად გადააქცევს. მაინც რა ეგონა ხალხს – პარტია, რომელმაც მხოლოდ საქუთარ კეთილდღეობაზე დახარჯა განვლილი 4 წელი, უმაღლეს ანგელოზად გადაიქცეოდა?

იმ დასავლეთში, საითკენაც ვითომ მივიდვართ, ამომრჩევლებს სხვა აზროვნება აქვს. მატყუარასა და დაპირებების შეუსრულებელ პარტიას აღარ მისცემს ხმას. ჩვენში სხვა – **„გაცალოთ“** – აზროვნებაა.

25 წელიწადია გავიძახით **„გაცალოთ“** ხელისუფლებას და ამ **„გაცალოთ“** შედეგად ქვეყნაც განანაგდა და მისი მოსახლეობაც. **„გაცალოთ“**-ის შედეგად ხელისუფლებები მოდიან, ძღვებიან, სუქდებიან, კაპიტალს აგროვებენ, ბიზნესს იქმნიან და მიდიან. ხალხი იმავე ადგილს ტყუილს. ჩვენში რომ სხვა აზროვნება იყოს, წასულ ხელისუფლებას უდავოდ პასუხს ავებინებდა, მოპარულ ფულს უკან დააბრუნებინებდა და ვირის აბანოსაც ახეხინებდა. ასეა იმ დასავლეთში, საითკენაც სიტყვით მივიდვართ.

ხელისუფლებას სხვა საზრუნავი არ აქვს, გარდა ვიზალიბერალიზაციისა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ხელისუფლება **„ზედმეტი“** ხალხის მოშორებას ფიქრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში განა ესოდენ თავგანწირვით შეუვარდებოდა მუხლებში ევროკავშირულ მოხელეებს?

არც ერთი ხელისუფლება თავს არ

მოიკლავდა მისი მოსახლეობისთვის უვიზო გადაადგილების მოსაპოვებლად. ეს ხელისუფლება იკლავს და არა იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობა კარგად გაეცნოს იქ არსებულ ცხოვრებას, ხელოვნებას, კულტურას, ისტორიულ ძეგლებს, ასეთთა რაოდენობა მცირეა, არამედ გზა დაულოცოს ერთი მიმართულებით აღებულ ბილეთს, არალეგალურ დასაქმებას, სამშობლოდან კარგა ხნით თუ არა სამუდამოდ გადახვეწას.

ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ქვეყანაში ვერა და ვერ ასაქმებს საკუთარ ხალხს, უცხოეთში მიერეკება, რითაც ერთიორად აუარესებს ისედაც გაუარესებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. ისეთი წყალწადებული ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო გამგზავრება მძიმე შედეგების მომტანი იქნება. მაგალითები ბევრია, თუნდაც ჩვენი **„დამრიგებელი“** ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რად ღირს?!

მოსახლეობის რაოდენობით მცირე სამი ქვეყანა, სადაც ცხოვრების დონე ჩვენთან შედარებით გაცილებით მაღალია, განახევრდა. ევროპის ქვეყნებში გაკრფილი ლიტვების, ლატვიების და ესტონელების არ აპირებენ სამშობლოში დაბრუნებას და ჟურნალისტის კითხვას ასე პასუხობენ: **„ცუდათ თუ კარგად, აქ დავსახლდით, ასე თუ ისე, ფეხი მოვიკიდეთ და იქ ანუ სამშობლოში დაბრუნებას არ ვაპირებთ“**. მათთვის **„სამშობლოს“** ცნება წაიშალა. გლობალიზაციამ წაშალა, თუმცა არა მარტო გლობალიზაციამ – პრობლემამ, რომელსაც კვლევის ამოცანა ჰქვია.

დაიხ! როდესაც ვერ საქმდები შენსავე ქვეყანაში და თუ საქმდები აშკარა სხვა – საქუთარ სურვილთან და მიღებულ განათლებასთან შეუთავსებელი, უცხოეთს მიაშურებ ბედის საძიებლად. და საქართველოს მოსახლეობაც მიაშურებს. მართალია უვიზო მიმოსვლის მექანიზმი მას დასაქმებასაც უკრძალავს და სხვა რამესაც, მაგალითად ვიზის ვადის დარღვევას, არალეგალურ დასაქმებას. მაგრამ ვინ შეხედავს ამას? რა, აქამდე მრავალწლიანი ვიზები ჰქონდათ?

მოკლევადიანი ტურისტული ვიზებით ნათელია ევროკავშირის ქვეყნებში და სამუდამოდ რჩებოდნენ. იქაური კანონებით მსგავსი ქმედება ისჯება. ეს იცინა საქართველოს მოქალაქეებმა, მაგრამ რა ქნან, როდესაც საქუთარი ქვეყანა და ხელისუფლება არ გაძლევს საქუთარ სახლში დასაქმების შანსს, რაღაც ხომ უნდა იღონო?

შეგარდნადიხრონდელი – **„მილიონი სამუშაო ადგილი“**, იმთავითვე ვირტუალური ღრუბლები, სხვა ღრუბლებმა ჩანაცვლეს, თუმცა ამით მდგომარეობა არ გამოსწორებულა. იმედგაცრუებული ხალხი 25 წლის წინანდელს ისვენებს ანუ იმას, დღევანდელი (ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიები) საშინელებად რომ ნათლავენ.

დეკემბერი წლის ის თვეა, საბჭოეთს რომ მოუდო ბოლო. 25 წლის წინათ, ბელარუსის ბელარუსის ტერმინი, უკრაინის, ბელარუსის პრეზიდენტებმა ზურგი შეაქციეს საბჭოთა კავშირს და მის ნაცვლად **დსთ** შემოიღეს. იმავე დეკემბერში საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოაცხადა.

ამ ისტორიულმა მოვლენამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლად არსებობას შთაბერა სული. დაიწყო ახალი, საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის უცნობი ცხოვრება. 70-წლიანი ბოლშევიკურ-კომუნისტური ექსპერიმენტი ისტორიას ჩაბარდა.

რუსი თუ უცხოელი ისტორიკოსები და სპეციალისტები დღესაც უპასუხოდ ტოვებენ 25 წლის განმავლობაში არაერთხელ დასმულ კითხვას – მაინც რა იყო საბჭოთა კავშირი, რა მოუტანა მან კაცობრიობას? ვერ პასუხობენ, ვინაიდან საბჭოთა

ვენომენი გაოცებს თავისი მიზანწარაფულობით, თავგანწირვით, შემართებით, მიღწეული წარმატებებით მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებაში, ხელოვნებაში და ა.შ. ის, რაც დღეს არის, საბჭოურ ფუნდამენტზე დაფუძნებული და რაც არ უნდა ვლანდოთ, წარსულზე გავლენას ვერ მოახდენს.

ლანდღვით კი ლანდღვენ, რაც იოლია, მაგრამ უკეთესი რომ ვერ შექმნეს?! რა იყო ისეთი იმ საბჭოთა კავშირში, დღესაც რომ ტკბილად ისვენებს იმ პერიოდს შემსწრე ადამიანი?

ის ხომ არა, სამუშაო ადგილები თავზესაყრელად რომ იყო და ვინც არ მუშაობდა ისჯებოდა ამისთვის? ან ის ხომ არა, უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, მიზეზული კომუნალური გადასახადები, უფასო საცხოვრებელი ბინები რომ იყო და ამ ბინებში მუდამ მოწინააღმდეგე ცივი და ცხელი წყალი – უადრესად დაბალ ფასებში, ზამთრის სეზონზე გამთბარი ბინები – ცხადია ისიც დაბალ ფასებში? გარანტირებული სამუშაო ადგილი, პენსია, რომლითაც თავის რჩენა რომ შესაძლებელი იყო? ტრანსპორტი, უადრესად იაფი და იმ დროისთვის ერთობ კომფორტული? ყველას ჩამოთვალა შორს წავიყვანა.

იყო, მაგრამ იყო რეპრესიებით, ციხით, შიშით და მუქარით, რაც უდავოდ აბსურდია, რამეთუ შიშით, მუქარით და რეპრესიებით ქვეყანა არ აშენდება. ქვეყანა შინაგანი სიძლიერით შენდება. მას კი სხვა სულის შთაბერვა ესაჭიროება, რომლის ამოხსნა ჰქონდა.

დაიხ! რაღაც ძალაა, ვიდაცის ძალამ შთაბერა ძველამოსილების სული საბჭოეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს, შეკრა ისინი ერთად – ქვეყნის საშენებლად, შემოსული მტრისგან თავის დასაცავად. რა ერქვა ამ ძალას, ამ შემართებას? რეპრესიები? – უპილო განმარტებაა.

იმპაზინდელ საბჭოეთში, გაიხსენეთ თუნდაც ერთი ისტორია ხალხთაშორისი სისხლიანი დაპირისპირებისა. მხოლოდ ერთს გაიხსენებთ – ყარაბაღთან დაკავშირებით. ამ ამბავს, იმ სისტემის დასასრულს ჰქონდა ადგილი, თვით საბჭოთა ხელმძღვანელებმა რომ წყალი შეუყვანეს.

25 წლის შემდეგ მოჭარბებულად დადებითად ისვენებენ საბჭოეთს განსაკუთრებით რუსეთში და არა მარტო იქ აქც. და ისვენებენ იმიტომ, რომ დღევანდელი ყოფა არ მოსწონთ. არ მოსწონთ სოციალური უთანაბრობა, რასაც ადგილი აქვს **„დემოკრატიულ“** საზოგადოებაში. 25 წლის განმავლობაში მსოფლიოს მილიარდერთა რაოდენობა 2,5 ათასამდე გაიზარდა. მათი კაპიტალი 8 ტრილიონი გახდა. მილიარდერთა რაოდენობით რუსეთი მესამეა, აშშ-ს და ჩინეთის შემდეგ, მაგრამ ამ სტატისტიკას კარგი არაფერი მოუტანია რუსეთის მოქალაქეებისთვის. და არა მარტო მათთვის.

გაზეთი **„დელი მილი“** წერს, რომ ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს აშშ-ს მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების უთანაბრობამ სარკოვროდ მანქანებებს მიაღწია, რამაც ამ ქვეყნის თეთრკანიან მოსახლეობას მე-20 საუკუნის ნოსტალგია გაუჩინა. 2016 წლის 8 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები თავისებურ სარკედ იქცა, რომელმაც აირეკლა დასავლური პოლიტიკური სისტემის კრიზისი, ღრმა სოციალური განხეთქილება, რასაც აშშ-ს საზოგადოებაში აქვს ადგილი. საბჭოეთის დაშლამ დასავლეთში გააჩინა შეგრძნება საკუთარი ძველამოსილების და სამარადისო არსებობის, აქედან გამომდინარე მსოფლიო ბატონობის.

საბჭოთა კავშირის დაშლით მსოფლიო კაპიტალიზმმა დაკარგა მძლავრი სოციალური საპირფონე, რამაც თავისთავად ხელი ჰკრა მოხვეჭილის თავდავიწყებულ სრბოლას, რომელსაც არც მორალური, არც რაიმე შემაკავებელი ნორმები აქვს. ჯამში მსოფლიომ მიიღო მოსახლეობის ფენებს შორის

კატასტროფული სხვაობა. დაიწყო შეტევა საშუალო ფენებზე და – მასთან ერთად ცხოვრების დონის დაცემა, უპირველესად ამერიკაში. ეს ხომ არ იყო მიზეზი 8 ნოემბრის არჩევნების შედეგებისა, იმ არჩევნების, რეგულაციად რომ მოიხსენიებენ?

8 ნოემბერი ბევრს ჰპირდებოდა ლიბერალური აზროვნების მსხვერპლ მსოფლიოს, მათ შორის ჩვენც. და ნაცვლად იმისა, სახეზე ცივი წყალი შეგვესხა, თვალები მოგვეფუნებია, ძველებურად განვაგრძეთ ცხოვრება.

განა ამის მაგალითი არ არის ის გამონათქვამები, რომლებსაც სულ ახლახანს გავეცანი? **„წყალი აიძვრა და ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ ამ წყალში თევზი დავიჭიროთ“** – ამ სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში **„შესანიშნავი“** პერსპექტივაა რუსეთთან ახალი დაპირისპირების.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთმა ნაცვლად სიტყვიერი დაპირებისა, არათუ შეამცირა სამხედრო კონტინგენტი ევროპაში, პირიქით გაზარდა და რაკალად შემოერთა რუსეთის დასავლურ საზღვრებს, გარდა ამისა გააქტიურა სამხედრო არსებობა ბალტიისა და შავ ზღვებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შავ ზღვას, სადაც ნატოს გენერალური მდივნის სტოლტენბერგის განცხადებით: **„ნატო შემოთავაზებია შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო აქტიურობით, განსაკუთრებით ყირიმში, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ალიანსის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის თავდაცვის უნარუნარიანობის გაძლიერება. ჩვენ ვფასებთ საქართველოსთან დიალოგს ამ საკითხზე“**. სწორედ ამ მიზნით, 2017 წლის დასაწყისში საქართველოში ნატოს სამხედრო კომიტეტი გეგმავს ჩამოსვლას.

ქართველი ანალიტიკოსების შეფასებით, ნატოს მომავალ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა რუსეთის შესაძლო აგრესიის შემთხვევით იქნება. იქნებ, პირიქით? და ისევ ნატოში შესვლის სატყუარა – **„საქართველოს უკვე აქვს ყველა ინსტრუმენტი ალიანსის წევრობისთვის. გარდა ამისა, ნატო აგრძელებს საქართველოსთან მუშაობას შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევების კუთხით“**, – ამბობს სტოლტენბერგი.

ამ პიროვნების განცხადებიდან გამომდინარე, საქართველომ საგნობრივი მხარდაჭერა უნდა გამოავლინოს რუსეთის მიმართ ნატოს გამაღიზიანებელი გეგმების განხორციელებისას. არცერთი ქართველი პოლიტიკოსი არ სვამს კითხვას – რას მოუტანს საქართველოს შავ ზღვაზე რუსეთთან დაპირისპირება? პირიქით, კარის პოლიტოლოგების აზრით: **„საქართველოს მონაწილეობა არ არის აგრესიული ნაბიჯი. ეს არის თავდაცვის შესაძლებლობა, რომელიც საქართველომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს“**, – ამბობს გოგოლაშვილი და სულაც არ ფიქრობს იმაზე, როგორ შეაფასებს ამ ნაბიჯს რუსეთი.

დიდი ტენისკელები არ არის საჭირო იმისთვის, რომ გავივით რუსეთის რეაქცია. ის ნატოს ამ ნაბიჯს აგრესიად აფასებს და რახან ასეა, დამოკიდებულება ჩვენს მიმართ არ იქნება ლმობიერი.

სტატისის დასაწყისში ვახსენე საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკურ-საფინანსო პოლიტიკის თაობაზე. ვახსენე ასევე პოლიტიკა, მაგრამ განმარტების გარეშე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დარგში რაღაც მიღწევები გვაქვს. პირიქით, აქ გაცილებით მძიმე ვითარებაა, ვიდრე ეკონომიკაში.

გათავდა დეკემბერი და მასთან ერთად 2016 წელი. რას უქარს საქართველოს 2017 წელი, ძველი ამოსაცნობია. მაგრამ განვლილი წლისა და საპარლამენტო არჩევნების შედეგები მშვიდი ცხოვრების გარანტიას ნამდვილად არ იძლევა.

ჰამლეტ ჰიპოზილი,
პოლიტოლოგი

თქვი რთა მოკვდა სიყვარულით!



წმინდა მირიამ მეფის სახელობის ეკლესია...

აქ ასვენია ბატონ ვალტერ შურდიას ცხედარი. მას შინდისფერი დროებით მი- აგებენ პატივს, ეროვნულ სამოსში ჩაცმული ქართველი ვაჟაკები...

უწყვეტ ნაკადად მოედინებიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები...

ყვავილებს გაუთოვლავს იქაურობა... იცრემლებიან სანთლები... იცრემლებიან ადამიანები...

ვარდობისთვეში დაბადებულს, მეც, დიდი წითელი ვარდები მივართვი. მინდა, ბატონ ვალტერს ყველას გასაგონად შევძახო: „დაბ- იცოდნენ, ჩვენს საქართველოს, ისევ სჭირდ- ება შენნაირები“-მეთქი, მაგრამ მას უკვე მოსმენა, მით უფრო, პასუხი აღარ ძალუძს, თუმცა, „თქვი, რომ მოკვდა სიყვარულით, შეუყვარდა საქართველო“, თავად, ვალ- ტერ შურდიას განვლილი გზა და ნაკეთები საქმეები იძლევა პასუხს.

„მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰკავს და უარესია!“

ეს, ყველაფერი ორი ათეული წლის წინ მოხდა... საქმარისია, უკან დაგებრუნოთ ის- ტორიის ბორბალი, მაშინვე, ის შავბნელი დღეები გაცოცხლდება, როცა „ფაფარითი აიშალა საუკუნის შფოთი“. ამ ყველაფერს, ცხადია, პასუხს ისტორია გასცემს და განა- ჩენს გამოუჩანს, მაგრამ თუნდაც ამ პოეტის მიერ, „ვინც მამულს ვენახს გამოაცლის ჭივოს, - წყველიმც იყოსო!“ - განაჩენი უკვე გამოტანილია.

თქვი და დაბრმავებულა და ყურიც დასწვია, ამიტომაცაა, „სისულელედ რომ ერგებება სიმართლე სმენას და ისიც, „თავის მონად რომ უქცევია ბორბლს კეთილი“...

ასეთ ვითარებაში, სწორედ თავის სასამართლო პროცესზე ვნახე და გავიცანი პირველად ბატონი ვალტერ შურდია.

სამშობლოს სიყვარულისთვის, ბატონი ვალტერი სამჯერ იყო მისჯილიცა და დასჯილიც... უამრავი რამის თქმა და გახსენება შემიძლია, იმ ისტორიულ პრო- ცესზე, რომელზედაც პირველად ვნახე და გავიცანი. ამ პროცესთან დაკავშირებით ბევრი დავიწერა, ხოლო მერაბ ნაგროზაშვილის დაცვითი სიტყვა პრესაშიც არაერთგზის დაიბეჭდა. მაინც, დავამატებ, რომ ეს პროცესი გახლდათ გასაოცარი ტანდემი თურგით დაუდგრომელი ოთხი მამულიშვილისა, ადვოკატების: მერაბ ნაგროზაშვილის და თემურ გოგსაძის და მთელი მხრივ, ბრალდებულ ვალტერ შურ- დიასა და საქართველოს ერთიანობისათვის არაერთგზის ნაბრძოლ, უმამაცეს გონა ოთხობრიასი.

ამ პროცესს ხალხმა თავად მიანიჭა ის- ტორიული პროცესის სტატუსი.

იქ, მართლაც სიტყვამ და სამხილებმაც სიმამაცემ და ვაჟაკობამ, ისედაც სახელაქარგულ სასამართლო შემადგენ- ლობს ნიღაბი სრულად ჩამოგლიჯა და წონასწორობაც საბოლოოდ დააკარგვინა.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, დარბაზში დათრგუნულები და ცრემლიანები აღარ ისხდნენ... ტაში და ოვაცია კვალად გასდევდა მთელ სასამართლო პროცესს.

პირველი შთაბეჭდილება სიცოცხლის ბოლომდე გამყვა. საზოგადოების წინაშე იდგა ნაღდი ქართველი და ჭეშმარიტი ინ- ტელიგენტი, ფერმკრთალი პირისახითა და შეგვერცხილი თმით... ისედაც ნათელ კაცს, ოქროსფერი სათვალე, გაცივლებით მეტ სხივს ჰყვანდა.

იდგა კაცი, პიროვნება, არაჩვეულებრივი ორატორი და მამულიშვილი, რომლის არათუ სიტყვა, - „დუმილიც რედა!“

„თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომიწინა!“

ბატონ ვალტერს სამშობლოს სიყ- ვარულისთვის, როგორც იტყვიან, სამგზის მოუწია ციხის კედლების ხეხვა... ერთ- ერთი პატიმრობის დროს, მისი ადვოკატი მერაბ ნაგროზაშვილი (ჩემი ძმა) გახლდათ.

იმხანად, ადვოკატები ე.წ. „ზვიადისტების“ საქმეს (შიშის გამო) სათოფვეზე არ ეკარე- ბოდნენ.

ხოციკ, ღიად თუ ფარულად, პირდაპირ, „ხელისუფლებს“ სამსახურში იდგნენ.

საშინელი წნეხის ქვეშ ჰყავდათ, ისე როგორც ვ. შურდია, ასევე, მისი ადვოკატი მ. ნაგროზაშვილიც.

მაგრამ, ამ საოცარ პროფესიონალს და ზნეობრივ ქართველს, ვისთვისაც „მხოლოდ სამშობლო განსაზღვრავდა მანძილს კაცის სიკვდილს და სიცოცხლეს შორის“ - ვერ- აფერი მოუხერხეს...

ეს ჩემი მოგონებაც, ამ ერთი საქმის, ორ გამოს და ორ უცნობ ფაქტს შეეხება:

მასხოვს, ციხეში მორიგი ვიზიტის შემდ- გომ, ჩემი ძმა შეშოთებული დაბრუნდა. სასტიკი ნაწამები დაუხვდა მას თავის დაცვის ქვეშ მყოფი ვალტერ შურდია: ხელებით დანაკიდებს, მკლავები მთლიანად სისხლჩაქცევებით სავსე და ნემსებით პქონდა დაწვევტილი.

ხოლო სახე, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რომ არაფერი შეეძინათ, მთლიანად გრიმ-საცხით „მოეპირკეთებიათ“.

მერაბ ნაგროზაშვილისთვის ყველაზე შე- მაშფოთებელი ის აღმოჩნდა, რომ პატიმარი თავის უკომპრომისო და მებრძოლი ად- ვოკატიდან, დაცვას და მხილებას კი არა, არანაირ რეაგირებას, პირიქით, სინუქს მოითხოვდა.

და მეორეც: ერთ დღით მერაბი მოულოდნელად, გაფრთხილების გარეშე (ტელეფონები ისმინებოდა) დამადგა თავზე... მისმა დანახვამ არ ვიცო რატომ, საშინლად ამოფორიაქა. ჩემმა ძმამ მეორე ოთახში გამიხმო და მეუბნება: - „ნახე, უკვე რა ხანია დამსდევენ, მითვალთვალებენ... ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდნენ. ცოლ-შვილი უკვე გაიფარე ქალაქიდან. ახლა ყურადღებით მომიხმენ და კარგად დაიმასხოვრე — აი, ეს ჩანაწერი შენ! (და ხელში რაღაც შეფუთული მომწვდოდა)... თუ რაიმე მომივა (ეს „რაიმე“ კი სიკვდილს ნიშნავდა), მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოაჩინე“...

დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ცოცხალი აღარც, მერაბ ნაგროზაშვილია, აღარც, გონა ოთხობრია, აღარც ვალტერ შურდია და არც იმქვეყნად წასული ისეთი ქართველები, რომლებზედაც სიამაყით შეი- ძლება ვთქვათ:

„თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომიწინა!“

„შენ სიკვდილისგან ვერმგვადარო!“

ამ მოგონებების შემდეგ, ჩემთვის თქვენს აღარ ყოფნაზე საუბარი მეტისმეტად ძნელია, თქვენი თანამებრძოლისა და სულიერი ძმის, ბატონ ზაურ ქობალიასი არ იყოს, მუდამ სობრძინისა და ზრდილობის განსახიერება ბრძანდებოდათ.

მსგავსად მერაბ კოსტავასი, ყოველთვის ეროვნული მოძრაობა გიყვარდათ თქვენში და არა საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაში.

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანაო!“ - მსგავსად ზვიადისა, ეს გახლდათ თქვენი ცხოვრების ერთადერთი და უმთავრესი კრედილი...

ამ პრინციპითაც გალიეთ, მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება, ტანჯვითა და ტკი- ვილით გალიეთ, მართალ კაცო, ნათელი კაცო, სამშობლოზე უფროდ შეყვარებულო, ვინ მოთვლის, რამდენჯის ნაწამებ-ნაპა- ტიმრადლო, მაგრამ „სიკვდილისგან, მაინც ვერ მგვადარო“... არ დაიდარდო და გულე არაფერზე დაიწვევითო, ბატონო ვალტერ! თქვენ, ისე წახვედით ამ ქვეყნიდან, - „უკან ნამდვილად დაგრჩათ კვალი განათე- ბული“.

„დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით!“

მინდა, ავჭალის კოლონიაში პატიმრობის პერიოდს გაეხსენო, და წერილების ამონარ- იდებით, უკანასკნელად „ავალაპარაკოთ“:

„სალამი, იმ დღეს ისევ მოგიხდათ დიდი ბრძოლის გადატანა... რა ვქნათ, თუ დასაცავია, ის რაც გვიყვარს.

რა ვქნათ, თუ დასაცავია, ის ვინც გვიყ- ვარს.

სიყვარულიდან სიყვარულამდე უნდა იყოს ჩვენი გზა, მხოლოდ. მაშინ არ დარჩება ადგილი სიძულვილისთვის.

მალტერ შურდია, 23.05.1998წ. ავჭალის კოლონია“

„დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენი ბატონო ვალტერ!“

არა მგონია, შემთხვევითი იყოს თქვენი დაბადება მაისის თვეში, თავისუფლების რაინდო!

26 მაისს - დამოუკიდებლობის დღეს არაა დაბადებული ბერაბ კოსტავა?! განა მაისის თვის არ გახლავთ, თავისუფლების ქურუმი - დიდი კონსტანტინე გამსახურ- დია?!

სულაც სისხამ გაზაფხულზე არ ბრძან- დება დაბადებული, ჩვენი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამ- სახურდია?!

ვინ იცის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა არ იყოს, იქნებ ჩვენი გაზაფხულიც ახლოვდე- ბა...!

ბედნიერი ვარ, რომ თქვენნაირი მხედრები იცავენ და ამშვენებენ საქართველოს თავი- სუფლებისათვის ბრძოლას... იცავენ ჩვენს ზნეობას და სიწმინდეს!

უდიდესი სიყვარულითა და პატივის- ცემით - ნახი ნამპროზაშვილი. 15.04. 1999 წელი“

„ჩემო ძვირფასებო!“

აღსარებასავე გეტყვით, მეგონა სიამაყე დიდი ხნის დამარცხებული მყავდა, ამ საო- ცარმა წერილმა კი, ისე იმოქმედა ჩემზე გამასხენდა, რომ ისევ, ის საცოდავი ადამი- ანი ვარ. მტვერი ვარ და მეტი არაფერი. გრანელმა უნდა მიშველოს, ღმერთო, მაპ- ატიე, ეს სიხარული. გეთუეს ეგონა საქართველო ლამაზი ქალების ქვეყანა იყო, მხოლოდ. როცა უთხრეს პოეტების ქვეყანაო, გაუფიქრდა. ეს ის ქვეყანაა, სადაც იციან თავგანწირვის ფასი. სადაც, ლამაზი ქალები წერენ ლექსებს, ლექსისებრ წერილებს. თქვენ გენაცვალეთ!

თქვენისთანა ქალების გულისთვის მუხლის მოდრეკაც დიდა, თავგანწირვაცაა და სიკვდილიც, ოღონდ, ღირსეული ლამაზი სიკვდილი. მოუხმობ იმ სიამაყეს, რომელიც მეგონა დამარცხებული მყავდა და ახალად გეტყვით: მე მზად ვარ, თქვენთვის მოვკვდე. „მავანნი შურისგან ნაშობ სიძულვილში ეძებენ საბრძოლო ძალას, ჩვენ - სიყ- ვარულში.

უმთავრესი განსხვავება ესაა ჩვენს შორის.

სიყვარული საკუთრების გრძნობაა მათთვის, ჩვენთვის - ღმერთთან მისახლოე- ბელი გზა... მე მიყვარხართ თქვენ, „ოო, ჩემი ზღაპრის კეთილი ფერიებო!“

თქვენი მალტერ შურდია. 23.05.1998 წელი. ავჭალის კოლონია“.

„რასაც კვირტები დაივიწყებენ, იმას ფოთლები იმასხოვრებენ!“

წმინდა მირიამ მეფის სახელობის ეკლეს- სია... ესო სავსეა ნაცნობი თუ ამოსაცნობი სახეებით. ეროვნული მთავრობის და პარ- ლამენტის წევრები ესოში ჯგუფ-ჯგუფად დგანან, ასევე, იმდროინდელი პოლიტპატიმ- რები, სასულიერო პირები და რიგითი ადამი- ანები. თითოეული მათგანი უკვე ისტორიაა, ცოცხალი მოსიარულე ისტორია. ჯგუფ-ჯგუ- უფად დგანან და ქვეყნის ჭირ-ვარამზე ბჭობენ უახლესი ისტორიის ეს გაცოცხლე- ბული სურათები. თუმცა, უკვე ასაკიც და თმებში ვერცხლიც მოსჭარბებიათ, თვალეში კვლავ ჩაუქრობელი ცუცხლი უბრიალებთ - სამშობლოს დასაცავი ცეცხლი.

დრო უღმობლად მიიწვეს წინ და იმ მო- მენტს უფრო გააფართოვებს, როცა ზეციურ საქართველოს, სამყოფლოს გმირთა, კიდევ ერთი მამულიშვილი - ვალტერ შურდიაა შეემატება. აქ, კი დარჩება ვალტერ შურდა- იას ნათელი ხსოვნა და სიყვარულით წა- სული ამ ბრძენი კაცის ბრძნული შეგონება: „სიყვარულიდან სიყვარულამდე უნდა იყოს ჩვენი გზა მხოლოდ, მაშინ ნამდვილად არ დარჩება ადგილი სიძულვილისთვის... სიყ- ვარულე, საკუთრების გრძნობაა მათთვის... ჩვენითვის, ღმერთთან მისახლოებელი გზა... მე მიყვარხართ თქვენ!“

ნახი ნამპროზაშვილი, მსახიობი

პოეზიის კუთხე

მანი, შური

ვაი, შური! ჩვენი ბედი უფლის ცრემლით ნაწერია, ყოფნის ნებას რომ მოგვცემდნენ ეს ქვეყანა რა ვრცელად! როდი მძინავს, თვალთ სინათლევ ჯერჯერობით არ მაკლია, მეც რომ ღაღად დაგიმდერო რა, ნაკლია?!

ნანა, ეს ვის ვეფერები, ეკალია თუ ვარდია? შური, ტრფობის წმინდა ფიქვებს ხოშკაკლად უბარდნია. ა, ამ უწამწამო წამებს ცრემლად რატომ ვეკიდები? რაღას სიყვარულშია მდებენ, მაშ, რატომ მკლავს, გეკითხები! უწუთისოფელო არა ვარ, ბევრი ჯაგი მითვლია,

ერთბაშად რომ გაეღინდა, - სულ კოლხური მითებია. ჩემი სისხლიც სისხლად ვარგა, გონებითაც არ მაკლია, ზღვა მქონდა და ამიტომაც წვევლად მექცა ანაკლია. ვაი, შური, ა, ეს ლექსიც უფლის ნებით ნაწერია, ყოფნის ნებას რომ მოგვცემდნენ, ეს ქვეყანა რა ვრცელად!

ახლა მე ყველა რთიმას გამოვრთავ, მერე შინი და იპროზაულე, „კალაშნიკოვ“ გადავვიტერდა, და არც არავინ ისერის „მაუზერს“. მდარე თვალეები შავი ნისლია, რომ ეფინება ღამეს სამიზნედ. ხომ გირჩენია ნაღდი ნისიას, თუ ნაღობამდე სული ვერ ციძლებს? რწმენადაკარგულ მიმლოცველივით, ესაუბრები კედელს უხატოს. სათბობში გადამტვრეულ ცელივით, ვის გინდა ვალი გადაუხადო?

სოფლის ბილიკს კვლავ ნელა მიყვები, ცივ მზეს კორტინან დრუბლის მხეცები, მსხლის კენწეროზე სხედან ნიყვები გაფითრებული თვალის ცეცებით. ო, ისევ ისე ვარ არეული, რომ გულის სითბო კენწვად ჩამესმის. შხამივით ბოლავს გარამეული გადაგიგებულ მე და ღამეში.

თვალეების ფსკერზე უცხო ზღვა ღელავს, მიათინათებს ხედვას სიღურჯით, ტკივილის ნება უმბატებს კივილს, რომელიც თითქოს გადავიყურე. აბორეგებული ზღვა შარიშურობს, მუხლზე ვდავარ, როგორც მლოცველი, ახლა ამ შიშის მერანთან მივალ და სიშმაგიდან ჩემს ფერს მოვწველი.

უკვე შინა ვარ, ვვალდ გამოვალ, ბოლო სანთელიც ქრება შანდალში, გამთენიისას მოსალამოვდა, მეკრდიდან მეკრდის ამოშანთვაში. ახლა ისე ვერ ვიწილებიწილობ, ალვაში ალვა ჩაქრა კენარი. დილაამაც დღისკენ გადაიწია და დამეხება ჯამი მუხენარი. ისევ ჩიტების მესმის ჟიფივი, გასხვავებულ ნაცნობ ხედიდან, ამ სანახებში დავალ დეივით, - ვფონავ ბავშვობის გამოსხედიდან.

ვახტანგ ყვილირი, ილია ყვილირი, მერაბ ყვილირი, ზვიად ყვილირი, ალბეთ ქიანას ქიანა ვეგვრე, თენერ ზღვა მართუს მითორილი. პუუნდეს დავითი, პუნდეს თამარი, პუნდეს ცოტნე დო თეველორე ბერი, ჩქინ ქიანას, შხვა ჭარა მარე, ნამთინს, ვაშობუნი, ალბეთ, ეფერი. ჩქიმი ღორწითი, მართალ ღორწითი, ნაწამებ ქირსე, ნტე, სო რეკ!

სო რე მანჯღვერო წუწუნი ნთეთ, ილორიშ ზორი, ნოტე, სო რეკ! მოკო სინთელე დო დიდი ხონარი, დანხ,რი-გენიას გევეუნწუათ, წმი გემიძნა ვე ოხარალი, საქვარ სქუას, ვეგუტუათ.

მიჩქ თინეფით, ქთაბირდლუნა, ქეუკუნანა ქვერსემ ოლდას, ჩქინი ოჭმარეშა ბრელი მირკნა, ვათოლშურდათ, შხვაში უმოდეს, ღორწიქ დაფარას ხოლო ყვილირი აწომდანი დუღანგარალო, ხეში გაგწიფშქვათ შურ დოკირილი, დისათი დმიუდანი გიობარალო.

კოტე ნაჭყეპია

25 წელი უსრულდა, რაც ჩვენი ქვეყნის უბოროტესმა მტრებმა და ქართველმა მანქართველმა ომი დაიწყეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეს ომი დღესაც ბრძელდება...

„იერუსალიმი სამღვდლოების ცოდვების გამო დაეცა“

იერემია (5-13)

თავისუფალი საქართველოს მეცხოვრებითა განცხადება

25 წელი უსრულდა, რაც, ჩვენს ქვეყანაში მოხდა მაფიოზურ-კრიმინალური გადატრიალება, რასაც უძიმესი შედეგები მოჰყვა.

1991-92 წლებში (22 დეკემბერი - 6 იანვარი) სამხედრო გადატრიალება განახორციელეს რევანშისტ-კომუნისტებმა და გაბოროტებულმა კაცთმოძულე წითელმა „ინტელიგენციამ“, კრიმინალურ-მაფიოზურმა დაჯგუფებებმა, აგრეთვე ეროვნულ მოძრაობაში შემოგზავნილმა აგენტებმა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მოკალათებულმა წითელი სმშ-ის ქვაბავაზაკთა, ანგარებიანმა სამღვდლო დასმა, სასულიერო მაღალი იერარქების ჩათვლით. აღნიშნული მანქურთების უკან იდგა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მაშინდელი სარდლის მოვალეობის შემსრულებელი ს. ბეპაევი, თავისი სპეც. ჯგუფებით. ამ უცხოთა რაზმმა განაპირობა საქართველოში კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს დასავლეთის ქვეყნების მაშინდელი ლიდერების საკმაოდ ინდიფერენტული (ჩვენი აზრით დანაშაულებრივი) დამოკიდებულება ამგვარი გაუგონარი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული შეთქმულებისადმი.

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა.შ.შ-ს მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უფროსის როლი საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობაში. მან კრემლის მაშინდელ მესვეურებთან ერთად (გორბანოვი, ელცინი) შეხმატკბილებული, ამორალური შეთანხმებით გადაწყვიტეს ნებისმიერი ხერხით მოეცილებინათ ქვეყნის კონსტიტუციური, ლეგიტიმური პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და გაენთავისუფლებინათ ადგილი ნეობოლშევიკ-მასონ, ჩვენი სამშობლოს მათხრებელ შეგარდნადისათვის. შემდგომში ეს ვერაგული განზრახვანი სრულიად ცხადი გახდა. ამით დასავლეთის მაშინდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ფეხქვეშ გათელეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები (ჰელსინკის, მადრიდის და სხვა შეთანხმებები), უგულვებელჰყვეს მათ მიერ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობები და ღირებულებები.

აღნიშნული ფაქტების შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ უტყუარი ანალიზი და დავასკვნათ: საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა საერთაშორისო შეთქმულება და ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა განახორციელეს ბოლშევიკურ-ლუციფერულ-არაიმანუელმა ძალებმა (დასავლურ-მასონურმა ოკულტურმა პოლიტიკურმა წრეებმა).

გადატრიალების შემდეგ საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს რდევვა დაიწყო: სახეზეა აფხაზეთის, სამაჩაბლოს ტერიტორიების მიტაცება. დღემდე ადგილი აქვს პუტინის მემკვიდრე არაღვეტიმური რეჟიმების მმართველობას. პუტინისტებმა და მათმა მემკვიდრეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის რომ ფიზიკურად გაენადგურებინათ ეროვნულ-განმანათლებლურ-ფლებელი მოძრაობა. არენიდან საერთოდ მოსპეს ეროვნული პოლიტიკური კლასი. ეს ცხადყოფს იმას, რომ პუტინი კვლავ მიმდინარეობს: არაღვეტიმური რეჟიმების „მართლმსაჯულება“ საბოლოოდ დადუმდა, არანაირი ნათელი არ ჩანს სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების - უხუნაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი მიიხნევს რომ პუტინისტები და მათი „პოლიტიკური“ მემკვიდრეები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფოსათვის, ამიტომ, უტყუარია რომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა წარსდგნენ ეროვნული და საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე. აუცილებლად უნდა მოხდეს არაღვეტიმური რეჟიმების, ანუ პუტინისტების ქვეყნის ხელისუფლებიდან ჩამოცილება და აღსდგეს სამართალ-მემკვიდრე კონსტიტუციური ეროვნული მთავრობა, რაც იქნება საქართველოს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი.

უფალი იესო ქრისტე იყოს ჩვენი მფარველი სამართლიან ბრძოლაში! საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

გიორგი კაპაძისძე (კმრვალიწმილი), კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი; ბესო (ბუსარიონ) მიძავა,

იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე; მთავარმეცნიერ-კონსტრუქტორი (წამალაძე);

ბ. მაჭავარიანი, დეპუტატი; ზურაბ კოჭენიძე, დეპუტატი;

დავით ბერკენიშვილი, იურისტი, ადვოკატი; ზურაბ ქობალია, ჟურნალისტი;

გიორგი თევზაძე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი;

მზია ბაძრაძე, დევნილი ჟურნალისტი; ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრემიერ-მინისტრი;

მანანა ჯიჯიშვილი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი;

ბრიგოლ გომეზაძე, მოძრაობა „ძღვენი საკვირველის“ დამფუძნებელი;

მგვდემონაზონი ილარიონი (ჯანაშვილი); მამუკა ლორთქიფანიძე, ჰელსინკის კავშირის წევრი;

შოთა ხონიშვილი, ადამიანის უფლებათა დამცველი; ქ. თბილისი, 2016 წელი, ქრისტეშობისთვის

გარდაიცვალა ავანტი ქაქაიძე

ახავაი... ახავაი... ახავაი...



მოხდა ის, რისიც ამ ბოლო თვეებში ძალიან მეშინოდა... დასრულდა... დასრულდა ამქვეყნიური ცხოვრება ჭეშმარიტად დიდი ადამიანისა... დასრულდა... დასრულდა ჩემი ჯიშის, მოდგმის, თურის საამაყო შვილის და ჭირისუფლის ამქვეყნიური ცხოვრება... დასრულდა... დასრულდა ჩემი ხალხის იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის მეტროპოლი-ალამდარის ამქვეყნიური ცხოვრება... დასრულდა... დასრულდა ჩემი მითაჟამინდელი უმდიდრესი და უმშვენიერესი

მეგრული ენის იგავიწოდებელი მენცარ-მესაიდუმლის ამქვეყნიური ცხოვრება... დასრულდა... დასრულდა... დასრულდა... დასრულდა... გენიალური მამანტი ძაძაძია აღესრულა...

ახავაი... ახავაი... ახავაი... ა. წ. 1 იანვარს, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე დასრულდა 76 წლის უბადლო ნინაშემენცარის სიცოცხლე ამ საწუთრო-სააქაოში... ამით ეპოქაც დასრულდა...

31 იანვარს, სადამოქამს, დიდმა მამანტი ძაძაძიამ, რომელსაც მეტყველების უნარი იმ დროისათვის უკვე თითქმის დაკარგული ჰქონდა - შესძლო მეუღლესთვის ეთქვა, რომ რაღაცის თქმა სურდა ჩემთვის... დაახლოებით ორი საათი ვიჯექი მის სასთუმალთან... ხელში მეჭირა მისი მარჯობი და ველოდები თუ რისი თქმა სურდა ჩემთვის ამ გენიოსს... მხოლოდ ეს მოახერხა ეთქვა: „ზურაბი, ხუთი წუთი ქომჩას... გეთუ ზურაბი, ჩქიმი საქმე“... უმწეო და მომაკვდავი გენიოსის შემყურეს ცრემლები წამსკდა მისგან მალულად... მე არ ვიცო რისი თქმა სურდა მას ჩემთვის იმ ნანატრ ხუთ წუთში... სამწუხაროდ ამას აღმოჩნდა მისი წადილი... საოცარი ორატორული ტალანტითაც გამორჩეულმა მამანტი ძაძაძიამ ბედის ირონიით

მეტი ვერაფერი მითხრა... სამაგიეროდ, ახლა მე მინდა ვუთხრა ჩემს უფროს მეგობარს: ჩემო მამანტი... ვფიცავ, რომ სანამ სული მიდგას - ერთგული ვიქნები იმ საკრალური იდეის, რომლის აღსრულებასაც შენ მიუძღვენი შენი გენიალური სიცოცხლე! ჩემო მამანტი... შენი იდეური თანამოაზრეები და თანამებრძოლები მაქსიმალურად გავირჯებით შენი მშობლიური და საყვარელი ხალხის იდენტობის გადასარჩენად! არ დაგუშვებთ მეგრული იდენტობის უმთავრესი გამოხატულების - მეგრული ენის გაქრობას, ბატონო მამანტი! არ დაგუშვებთ ამას! ნამდვილად ვიცი, რომ შენ იქიდანაც შეგვეწევი, მამანტი პატენი! უფალიც არ გაგვწირავს და შეგვეწევა! აუცილებლად შეგვეწევა, უფალი!...

შენი სული გაანათლოს უფალმა, ჩემო ძვირფასო და უფროსო მეგობარო!

სქანი შური განათას ღორღნთქ, ჩქიმი მამანტი!

ჩხონაფა ცოფედას სქანი! ვადინაფედას სქანი მარგალური ნინა!

ვადინაფედას სქანი ნანაში ნინა! ზურაბ კვარაცხელია

გიორგი ბახარია: სამშენებლო კოდექსი ძალიან დიდი თემაა და მომზადებულია მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ბახარიამ სამშენებლო კოდექსთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულები.

„სამშენებლო კოდექსი არის ძალიან დიდი თემა, მომზადებულია მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომლის განხილვაც დაწყებულია. მასში საერთაშორისო ორგანიზაციები იღებდნენ მონაწილეობას. წარგადგენთ პარლამენტში, იქნება განხილვები. ამ პროცესში დარგი მთლიანად იყო ჩართული.

მთავარი პრიორიტეტები იქნება, ერთი მხრივ, სამშენებლო ბიზნესის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ტექნიკური მოთხოვნების განხორციელება, რომელიც ევროკავშირის წინაშე გვაქვს აღებული. მთავარი პრიორიტეტები იქნება სამშენებლო ბიზნესი, რომელიც არის დღეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულება. ეს კიდევ უფრო უნდა გაგაძლიეროთ, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ის ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც ჩვენ წინ გველის კიდევ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, განახორციელოთ, რომ ეს ყველაფერი რბილად მოხდეს“, - განაცხადა გიორგი ბახარიამ.

“როდესაც ამ ნივთს გადავხედავ, ნახავს რომელია პატრიარქის ყოველდღიური...”



“ილია II” – ამ სახელწოდების ტრილოგია, რომელიც საქართველოს პატრიარქზე დღემდე უცნობ დეტალებს გაგაცნობთ, გამომცემლობა “პალიტრა L”-ის ახალი უნიკალური გამოცემაა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დატოვა სტამბა.

წიგნის დეტალებზე სასაუბროდ “პალიტრა L”-ის მთავარი რედაქტორი მათა ალუღაური და წიგნის კონსულტანტი და საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი სერგო ვარდოსანიძე “იმედის დიდი” ეთერში მიიწვიეს.

ეს არის ერთგვარად უნიკალური გამოცემა – “ილია II” – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, და იგი ასახავს უწმინდესის, თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ცხოვრების გზას. ამ წიგნში არაერთი არაფერს გვიყვება, მასში არის თავმოყრილი ფოტოები, წერილები, დოკუმენტები, ჩანაწერები, რომლებიც თავად ყველაფერს პატრიარქის შესახებ, მისი რთული, ხანგრძლივი, წინააღმდეგობებით, სიხარულით, საზრუნავით დატვირთული ცხოვრების შესახებ.

იდეის ავტორი საპატრიარქოს არქივის ხელმძღვანელი მზია კაცაძეა, რომელიც

თავადვე იყო ჩართული წიგნის შექმნაშიც და სწორედ მისი რედაქციით აქცია ეს უზარმაზარი მასალა წიგნად “პალიტრა L”-მა. ის რომ საპატრიარქოს არქივი გაიხსნა და იქცა წიგნად, თავად მეტყველებს იმაზე, რა გახსნილი და გულწრფელია უწმინდესი ხალხის წინაშე.

პირველი დოკუმენტები, რომლებიც ამ წიგნში მოხვდა, 1932 წლით თარიღდება და 2013 წლის ჩათვლით ყველაფერს მოიცავს, რაც პატრიარქს გაუწვია აქამდე. ოჯახის წევრებთან მიმოწერა, ოჯახის ფოტოები, სწავლისა და ამ დიდი გზისთვის სამზადისი, ოჯახის თანადგომა, გარემო, რომელშიც ის ამ დღეწლისთვის ემზადებოდა, საპატრიარქოს ყოველდღიურობა და ა.შ.

“ჩვენ ნაკლებად ვიცით რა ხდება საპატრიარქოში, როგორია პატრიარქის ყოველდღიური საზრუნავი, როდესაც ამ წიგნს გადავხედავ მითხველი, ნახავს, როგორია პატრიარქის ყოველდღიურობა...” – აღნიშნა საუბრისას მათა ალუღაური.

“არქივები, როგორც წესი, ასი წლის, 50 წლის შემდეგ იხსნება, მაგრამ პატრიარქის დამოკიდებულება ამ საარქივო მასალებსადმი, არის გამორჩეული. მისი ოპონენტების მიერ რაც კი დაწერილა,

ისიც კი არქივშია დაცული, არც ერთი არ გამქრალა არქივიდან. რასაკვირველია უწმინდესის შესახებ არაერთი წიგნი დაწერილა, თუმცა მათში ავტორისეული ინტერპრეტაციებია. ამ წიგნში კი, მე-ითხველის ყურადღებას მიიპყრობს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა მხოლოდ ფრაგმენტები გვქონდა ნანახი. ხშირად ოპონენტები საყვედურობდნენ პატრიარქს იმისთვის, რომ გარკვეულწილად ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა ხელისუფლებისადმი. აი, ამ დოკუმენტში ნახავს საზოგადოება, როგორი შეუპოვარია პატრიარქი, როცა საქმე ეხება ეკლესიის ინტერესების დაცვას.

მაგალითად, ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ეხება “თვითმფრინავის ბიჭების” საქმეს, რომელიც წიგნის მეორე ტომში იქნება წარმოდგენილი. საზოგადოებაში დღესაც მუსირებს აზრი, რომ პატრიარქმა არ დაიცვა მღვდელი თევდორე ჩიხლაძე. არადა არსებობს დოკუმენტები, ჩანაწერები, სადაც პატრიარქი მიმართავს მაშინდელ პირველ პირებს, რომ გადასინჯოს საქმე. პირველ რიგში, საერთოდაც “თვითმფრინავის ბიჭების” დახვრეტის საწინააღმდეგო მოძრაობაშია ჩართული და მეორე რიგში, ამ სასულიერო პირისა, რომელიც ადგილზე არ იყო და მისი დასჯა უსამართლობა იქნებოდა...” – იხსენებს ერთ-ერთ ვიზიტს წიგნის კონსულტანტი სერგო ვარდოსანიძე.

პრეზენტაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი და საქართველოს მთავრობის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სამეცნიერო-აკადემიური საზოგადოება დაესწრო.

ტრილოგიის იდეის ავტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორეა, ქართველთა საუკუნის ტრილოგიის პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნესტან კირთაძე.

„სხვადასხვა დროის საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების მიერ შექმნილი ეს აკადემიური რარიტეტული გამოცემა მომზადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობითა და პარტნიორობით. ტრილოგია დასრულდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანიშვილის და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით“.

ით“, – აცხადებენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ორგანიზატორთა განცხადებით, 16 წლის განმავლობაში იქმნებოდა ქართველთა საუკუნის ტრილოგია – “ნათელი ქრისტესი. საქართველო”, რომლის გამოცემული ტომები, უკანასკნელი წლების მანძილზე სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე და პრეზენტაციებზე (პარიზი, ნიუ-იორკი, მოსკოვი, ტოკიო) ღირსეულად მონაწილეობდნენ.

„უკვე წლებია, კულტურის მსოფლიო დედაქალაქებში, სხვადასხვა საგამოფენო დარბაზებსა და მისთვის სპეციალურად მოწყობილ პავილიონებში ქართველთა საუკუნის წიგნი ღირსეულად წარადგენს ჩვენს ქვეყანას და ყველგან გულწრფელად აღფრთოვანებას იწვევს და საერთაშორისო აღიარებას იმსახურებს; UNESCO-ს გენერალური დირექტორი სპეციალური წერილით გამოეხმურა ტრილოგიას და პარიზში UNESCO-ს შტაბ-ბინაში საგანგებო ადგილი მიუჩინა მას.“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საუკუნის წიგნი თავად ააბრძანა ათონის წმინდა მთაზე; წარგზავნა სინაზე, გადასცა მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტებსა და მუზეუმებს; პროექტის ავტორმა და მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა ნესტან კირთაძემ ტრილოგიის უკვე გამოცემული ტომები თავად გადასცა საჩუქრად კოლუმბიის, სორბონის, მოსკოვის, ოდესის, ათენის და სხვა უნივერსიტეტებს და ამჟამად „ნათელი ქრისტესი. საქართველო“ მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების რარიტეტულ კოლექციებში გამოჩნეულ ადგილს იკავებს“, – განაცხადეს საპატრიარქოში.

მათივე თქმით, ქართველთა საუკუნის წიგნის მფლობელები არიან საქართველოს, აშშ-ის, ევროპის სახელმწიფოთა, რუსეთის ფედერაციის, ისრაელის პრეზიდენტები და პოლიტიკური ლიდერები, ინგლისის დედოფალი, მსოფლიოს პირველი დიპლომატები, რომის პაპი, მსოფლიო პატრიარქი და მსოფლიოს სულიერი ლიდერები; სხვადასხვა სფეროში აღიარებული ქართველი და უცხოელი მოღვაწეები, წარჩინებული ახალგაზრდები, წიგნის მხარდამჭერები. წიგნს მინიჭებული აქვს პრესტიჟული ჯილდო – “ოქროს პერგამენტი”.

ტრილოგია, რომელიც საქართველოს პატრიარქზე დღემდე უცნობ დეტალებს გაგაცნობთ, 19 დეკემბრიდან გავიდა წიგნის სავაჭრო ქსელში.

ისინი დღემდე მ-18 საუკუნეში ცხოვრობენ, სადაც ყველაფერი ბუნებრივი და უბრალოა – მოგზაურობა ამიშების ქალაქში



ბევრს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენია, რომ დღეს, XXI საუკუნეში, ჩვენს პლანეტაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც პრაქტიკულად არ სარგებლობენ ელექტროენერგიით, ტელეფონით და ტექნოლოგიური სიახლეებით.

ცხოვრობენ ხის, ძალიან უბრალო სახლებში, ავტომობილს და ტრაქტორს ცხენი ურჩევნიათ და საკუთარ თავს „უბრალო ადამიანებად“ მიიჩნევენ.

ამ უცნაურ ადამიანებს – ამიშები ჰქვიათ. ისინი 3 საუკუნის წინ გამოჩნდნენ ამერიკაში და სხვა პროტესტანტული სექტებისგან განსხვავებით, შეძლეს უცვლელად მოეცნათ დღემდე ცხოვრების უწყველად.

ამჟამად, აშშ-ში დაახლოებით 250 000 ამიში ცხოვრობს. ისინი სულაც არ ირჩევენ მიერ უბედურ, უკაცრიელ ადგილებს, პირიქით, ხმაურთან შტატებში – პენსილვანიაში, ინდიანაში, კანზასში, მერილენდში – არჩევენ ცხოვრებას.

„მკაცრი წესების დამცველი“ ამიშები

– რომელთა სექტა, მეოქვებმეტე საუკუნის ევროპაში შეიქმნა და მოგვიანებით, რელიგიური დევნის გამო ამერიკაში გადასახლდა – თვლიან, რომ ნებისმიერი შესება ტექნოლოგიურად განვითარებული სამყაროსგან მხოლოდ ზიანს მოუტანს მათ მთავარი ღირებულებებს – ოჯახს, გულახდილობას და მიწაზე მუშაობას. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისინი განუხრებლად იცავენ ბიბლიურ მცნებებს, თავმდაბლობას, უბრალოებას და მორჩილებას.

ამიშების დასახლებებში ვერ იპოვით ელექტროსას, რადიო „ბიბლიაში“ წერია: „ხელით შექმნილ ტანსაცმელში არ ცხოვრობს ღმერთი“. ისინი კვირაში ერთხელ, მორიგეობით იკრიბებიან, საკუთარ სახლებში, წმინდა წიგნის საკითხავად. არ ქორწინდებიან სხვა აღმსარებლობის ადამიანებზე; არ ინათლებიან 18 წლის ასაკამდე; პრინციპულად არ სარგებლობენ ავტომობილებით, მათი გადაადგილების საშუალება მხოლოდ – ცხენი და ეტლია. უაღრესად სადად იმოსებიან...

ქალებს აუცილებლად გრძელი, ერთი ფერის კაბა უნდა ეცვათ. აქსესუარების გაკეთება აკრძალულია. ისინი არ სარგებლობენ კოსმეტიკით და პარფიუმით, არ იტრიან თმას. თავზე თეთრი ნაჭრის ქუდაები, “ჩეფიკები” ხურავენ.

მამაკაცები ქაშრების ნაცვლად, აჭიმებს ხმარობენ. თავზე შლაპა ახურავენ. მათი ტანსაცმლის ფერი მკაცრია. წვერის ტარების უფლება მხოლოდ ცოლიან მამაკაცებს აქვთ.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ამიშების დასახლებები ტურისტებით ივსება. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ მოსწონთ ყურადღების ცენტრში ყოფნა, ტურისტები მაინც შემოსავლის წყაროდ აქციეს. აამიშებს სპეციალური ფერმა, სადაც ჩამოსულეებს უყვებიან თავიანთ ცხოვრებაზე, ფასეულობებზე, ასეირნებენ მრავალადგილიანი ეტლით.

ამიშები დიდიხანა სადამომდე ფერმებში მუშაობენ. მათ პატარა მალახივებში ბევრნაირი ხელნაკეთი ნივთია, რომლებსაც თავადვე ქმნიან. მათ შორის ბევრი მჭკვედელია. ისინი კარგი ღურგლები, ხელოსნები არიან. ძველებურ, მაგრამ ხარისხიან ხის ავეჯს ქმნიან.

საკუთარი თემის წევრის დასახმარებლად ყოველთვის ერთიანდებიან. მათ ქალაქში არ არის მოხუცებულთა თავშესაფარი. თუ ოჯახში მოხუცია, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის მოვლა, ამიშები მორიგეობის სიას ადგენენ და ერთმანეთს ეხმარებიან.

დასახლებაში არ არიან ღარიბები. ამიშები არ ყიდულობენ მანქანებს, ძვირფას ტექნიკას, პარფიუმერიას და მოდურ ტანსაცმელს. არ ხარჯავენ ფულს საწვავში და არ აქვთ დახვეწილი. თუ ვინმეს სერიოზული ოპერაცია დასჭირდება, ფულს მიუღებ სოფელი აგრონობის.

ამიშების ოჯახებში მინიმუმ 6 ბავშვია. მათ ორასი ე.წ. „ერთოთახიანი სკოლა“ აქვთ, სადაც ბავშვები სწავლობენ. სკოლები იმგვარადაა განლაგებული, რომ

მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეეძლოთ ველოსიპედებით სიარული. ისინი ერთ ოთახში სხედან და სწავლას 8 წლის შემდეგ ამთავრებენ.

მასწავლებლები ახალგაზრდა ქალები არიან, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და ჯერ არ გათხოვიდნენ. საგნების სია მოკლეა: ინგლისური და გერმანული ენა, მათემატიკა და ისტორია. ამიშები თვლიან, რომ ტრადიციული ფერმერის ოჯახისთვის ასეთი განათლება საესებით საკმარისია.

ამიშებს შინაური ცხოველებიც ჰყავთ: ქათამები, ბატები, თხები, ვირები და ღორები. ყველაზე გავრცელებული ცხოველი მათ დასახლებაში, რა თქმა უნდა ცხენია.

ქალაქში 28 ძალიან უცნაურ, დახურულ ხის ხიდს შეხვდებით, რომლებიც 150 წლის წინ ააშენეს. გადმოცემის თანახმად, ხიდები იმიტომ გადახურეს, რომ უფრო მყარი და უამინდობისგან დაცული ყოფილიყო. ამიშები ყველაზე ძველ და გამოუსადეგარ ხიდებსაც კი სათუთად ინახავენ და უვლიან. ისინი მათ „კონცის ხიდებს“ უწოდებენ.

ამიშების დასახლებებს უცნაური სახელები აქვთ – „სამოთხე“, „ჩიტი ხელში“, „ურთიერთობა“, „მერცხალი ცაში“ და სხვა.

მათ ღრმად სწამთ, რომ ღრის შენერება შესაძლებელია და დღესაც, მე-18 საუკუნეში ცხოვრობენ, სადაც ყველაფერი ბუნებრივი და უბრალოა.

ახალ წელს გილორსავეთ კოლხ-იბერნი!



ძვირფასო თანამემამულენო! საყვარელო კოლხ-იბერნო! კიდევ ერთი წელიწადი მითვალა უამთაგანმრიგემ... მითვალა და თან დაგვიტოვა უამრავი ახდენილი თუ აუხდენილი ოცნება... ოცნება პირადული, ოცნება საზოგადოებრივი... ცხადია, მე, როგორც წინა წლებში, ახლაც საზოგადოებრივ, საქვეყნო-საკაცობრიოზე უფრო გავამახვილებ ყურადღებას, რადგან მერწმუნეთ რომ, თუთაშხიასი არ იყოს, არავის პირადი ცხოვრება არ მინტერესებს და არც არავის საქმეში არ ვერევი მე... ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით გავიმარჯვოს, იმდენად და იმ დოზით, რა დოზითაც ის წინააღმდეგობაში არ მოვა ეროვნულ-ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებთან, ასევე, ჩვენი მითაუ-

მინდელი მოდემის წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთობლიობის მარადიულობა-უწყვეტობასთან...
 მე ვერ ვიტყვი, რომ განვლილი 2016 წელი დიდად უკეთესი ან უარესი იყო წინა წლებთან შედარებით, მაგრამ გულწრფელად გითხრათ არა და არ გამოიკვეთა ქვეყნისთვის სასიკეთო რამე პოზიტივის შემცველი ნიშნები... ამიტომ, შესაძლოა ვინმეს ეს არც მოეწონოს, მაგრამ მე აქ ახლა ფაქტიურად სიტყვა-სიტყვით მიწვევს წინა წლებში უკვე მრავალჯერ გაკეთებული შეფასების კვლავ და კვლავ „ჯანსუღსავით“ გამეორება... დიას, უფსკრულის კიდესთან მყოფი საქართველოსათვის საფრთხეები და გამოწვევები ისევ რეალურად არსებობს... მეტიც, ეს საფრთხეები უფრო მატულობს... კვლავაც დიდი კითხვის ნიშნის წინაშე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავალი და თუ ამ სავალალო რეალობას როგორ უნდა, მაშუღლიშვილურად არ დაეინახავთ და არ გავიცნობიერებთ, თუ ერში სასწრაფოდ არ ამოქმედდება მიძინებული თვითგადარჩენის რეფლექსი, მაშინ, ჩვენს საყვარელ ოდაბადეს გამოთლიანება კი არა, უდიდესი ალბათობით სრული გავერანება და დეზინტეგრაცია უწერია... ხოლო, რაც შეეხება მრავალ ქართველებს, დღემდე, ასე თუ ისე, ავად თუ კარგად გამოღწეულ კოლხ-იბერს, – როგორც ჩანს, უდიდესი ალბათობით ის შეუერთდება კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გამქრალ

ერებს თუ ეთნოსებს... ცხადია, ახლავიდაც მაინც გაიფიქრებს – მაშინ რაშია გამოსავალი და რაღაც თვალსაზრისით მართალიც იქნება, მაგრამ გამოსავალი თვითგადარჩენის რეფლექსის გაღვივება-ამოქმედებაში რომაა – ამაზე მე უკვე ხემათ მიფუთით... დიას, უწინარესად მართლაც ამაშია გამოსავალი! ამის შემდეგ კი, რასაკვირველია სადაც, გონივრულად უნდა განაღვივდეს არსებული რეაქციები და დაისახოს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლისათვის ოპტიმალური, პრაგმატული, სტრატეგიულად გამართლებული ორიენტირები! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს კორდონებს იქითა ინტერესების პრიორიტეტულობა სამშობლოს ინტერესებთან მიმართებაში! მხოლოდ ურთიერთ-ინტერესების დაბალანსება-გათვალისწინებით, ურთიერთ-შეთანხმებით, აუცილებელი კონსენსუსით უნდა წარმართოს საგარეო პოლიტიკა და აქედან გამომდინარე უნდა ხდებოდეს საჭიროების შესაბამისად მისი კორექტირებაც! აი, ამ მიმართულებით უნდა მოძრაობდეს, ვითარდებოდეს საზოგადოებრივი აზროვნება და, აქედან გამომდინარე, მისი დაკვეთის შემსრულებელი უნდა იყოს ამავე საზოგადოებრიობის მიერ არჩევენების დროს დაქირავებული ნებისმიერი სახელისუფლებო პოლიტიკური ძალაც!... სამწუხარო ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით აქამდე არც არაფერი გვაქვს სატრიახოც და თავმო-

საწონიც! ფაქტია, რომ იმ ავადმოსავლური კრიმინალური კუჭის შემდგომ ჩვენი სამშობლო ფაქტიურად არ შემდგარი, კოლონიური და უფსკრულის პირას მყოფი კვაზი-ქვეყანაა, მაგრამ ამაზე მე ფაქტიურად ხემათ უკვე გავამახვილე ყურადღება და ახლა მეტს აღარ განვაგრძობ...
 ერთს დაგამატებ კიდევ, რომ ყოველივე ხემათქმულზე პასუხისმგებლობის უდიდესი წილი ერთი ელიტარულობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანებმა უნდა აიღონ... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მართლაც სრულიად განსაკუთრებულია სამოციქულო ეკლესიის მნიშვნელობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლის თვალსაზრისით!...
 ასეა თუ ისეა, მოვიდა ახალი წელიც და მოიტანა ახალი იმედებიც...
 ასე რომ:
 2017 წელს თითოეულ ჩვენთაგანს აგვხდენოდეს ჩვენ-ჩვენი კეთილი სურვილები!
 2017 წელს სიკეთე და ბედნიერება დაეხედოს ჩვენს სამშობლოს! ღმერთმა ჰქნას, რომ 2017 წელი ყოფილიყოს გარდამტეხი წელი და საფუძველი ჩაყრდეს ქვეყნის გამოთლიანებას!
 ახალ, 2017 წელს გილორსავეთ კოლხ-იბერნი!
 ახალ წანას მიგახვამანთ კოლხ-იბერევი!...
ზურაბ კვარაცხელია,
 ზუგდიდი

გიორგი აბაშიშვილი – სამწუხაროა, მაგრამ უკვე ჩანს ნიშნები იმისა, რომ შეიძლება, ერთპარტიული საკონსტიტუციო კომისია მივიღოთ

ჩაერთვება თუ არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში, ჯერჯერობით უცნობია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა განუცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პროცესების განვითარებას დააკვირდებიან და მოგვიანებით მიიღებენ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
 „ჯერჯერობით არ ვინჰარებთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას და დაგვიკვირდებით მოვლენების განვითარებას, საერთოდ რასთან გვაქვს საქმე“, – განაცხადა აბაშიშვილმა.
 ამასთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, „სამწუხაროდ“, მიიხედავს ახალი საკონსტიტუციო კომისიის მოდელად წინა საპარლამენტო კომისიის დასახვას, რომელმაც, მისივე შეფასებით, „საერთოდ ვერ იმუშავა“. ამ კონტექსტში აბაშიშვილი იმ უპირატესობებზე საუბრობს, რომელიც პრეზიდენტის ინსტიტუტთან შექმნილ საკონსტიტუციო კომისიას ექნებოდა.
 „პირველ რიგში ის, რომ სწორედ პრეზიდენტია კონსტიტუციის გარანტი და ამასთან, ის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ არის. შესაბამისად, გაცილებით მაღალი სანდოობა და ლეგიტიმაცია ექნებოდა ამ კომისიას და არ განდებოდა კითხვები, რომ იგი ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის, თუნდაც მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესების გამტარებელი შეიძლება ყოფილიყო. ეს იქნებოდა მაღიან კარგი მესიჯი როგორც ქვეყნის შიგნით ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მთლიანად საქართველოს მოქალაქეებისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის. სამწუხაროდ, უკვე ფორმატ-

თან დაკავშირებით ერთპიროვნული გადაწყვეტილება იქნა მიღებული. როცა ფორმატთან დაკავშირებით ერთპიროვნული და ერთპარტიული გადაწყვეტილება მიიღება, ცხადია, ეჭვებს ბადებს, რომ შემდგომ უკვე შინაარსობრივი თემები, რაც კომისიის ფარგლებში განიხილება, ხომ არ იქნება კვლავ ერთპიროვნული და ერთპარტიული! სამწუხაროა, მაგრამ უკვე ჩანს ნიშნები იმისა, რომ ჩვენ, შეიძლება, რეალურად ერთპარტიული კომისია მივიღოთ“, – აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.
 გარდა ამისა, გიორგი აბაშიშვილის თქმით, განცხადებები იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო კომისიის ფორმატთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან კონსულტაციები გაიმართა, სიმართლეს არ შეესაბამება.
 „როდესაც ვისმენდით კომენტარებს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, რომ თითქოს საკონსტიტუციო კომისიის ეს ფორმატი შეჯერებულია პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ან იყო კონსულტაციები, ეს არასწორი ტერმინებია. ორი დღის წინ პარლამენტის მხრიდან უბრალოდ მოხდა შეტყობინება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მისამართით, ანუ ჩვენ შეგვატყობინეს ის, რომ კომისია იქმნებოდა ამ ფორმატით. შესაბამისად, არანაირი კონსულტაციები და, მითუმეტეს, შეჯერება აქ არ ყოფილა და მე მინდა ვთხოვო პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომ მომავალში როდესაც პოლიტიკური განცხადების დროს გამოიყენებენ ტერმინებს, ისინი სწორად განმარტონ, ვინაიდან კონსულტაცია თავისთავად ნიშნავს მოლაპარაკებას და შეჯერება კიდევ უფრო შემდგომი ფორმაა, რომელიც ნიშნავს შეთანხმებას. არც ერთი ყოფილა, იყო უბრალოდ შეტყობინება“, – განმარტა გიორგი აბაშიშვილმა.

მშენებლებს ღარში ფასის დაწესება არ მოსწონთ

როგორც აღმინდა, დეველოპერებს უძრავი ქონების ფასის ღარში მითითება მაინც და მაინც არ მოსწონთ და უკვე მთავრობის გადაწყვეტილების კრიტიკაც გაიხმა. მთავრობა უკან დახევას არ აპირებს, მშენებლები კი ჯერ ნიადაგის მოსინჯვით არიან დაკავებულნი.
 პირველად უძრავი ქონების ბაზრის ღარში გადაყვანის თაობაზე განცხადება ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუცისიშვილმა გააკეთა.
 „მთავრობა, ეროვნულ ბანკთან, საჯარო რეესტრთან და კომერციულ ბანკებთან იმუშავებს უძრავი ქონების უსაფრთხო ანგარიშსწორების სისტემით ე.წ. „ესკროუ“ ანგარიშით განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა აღარ იქნება ტრანზაქციულ რისკებთან დაკავშირებული და შეამცირებს დაკავშირებულ ხარჯებს, რაც იქნება დამატებითი სტიმული უძრავი ქონების შესაძენად ღარით ანგარიშსწორებისათვის“, – განაცხადა ქუცისიშვილმა.
 ამას რამდენიმე დღეში საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმა მოჰყვა, რომლის მიხედვითაც ორგანულ კანონში მომზადდება ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება სავალდებულო იქნება ღარით. ეს არ გულისხმობს სხვა ვალუტით ფასის გამოცხადების აკრძალვას. მაგალითად, სამშენებლო კომპანია ბინის ფასი უნდა გამოაცხადოს ღარით და, სურვილის შემთხვევაში, მიუთითოს ფასი ნებისმიერი სხვა ვალუტით.
 სმბ-ის ინფორმაციით, მთავრობისა და ეროვნული ბანკის ხელშეწყობით, კომერციულ ბანკებში დაინერგება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დაცული მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას საფასურის გადახდისა და ქონების დასაკუთრებასთან დაკავშირებული რისკების აცილებასა და ხარჯების შემცირებას როგორც გამყიდველისთვის ასევე მყიდველისთვის. აღნიშნული მომსახურება განხორციელდება საჯარო რეესტრთან თანამშრომლობით და მომხმარებლისთვის იქნება ნებაყოფლობითი. ეს სერვისი დამატებითი სტიმული იქნება უძრავი ქონების ღარით ანგარიშსწორებისათვის.
 „პირველადი მშენებლების ხარჯის უმეტესი ნაწილი არის ეროვნული ვალუტით. ყველა საუბრობს, რომ თუ უძრავი ქონების ფასდადება იქნება ღარით, ეს გაზრდის პროცენტობას, შეამცირებს ამ ბიზნესში პრობლემებს და რისკებს. მრავალმა ქვეყანამ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება და საბოლოო ჯამში აისახა იმაში, რომ მოსახლეობამ დაივიწყა უძრავი ქონების ფასები დოლარით და გადაერთო ადგილობრივ ვალუტაზე. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ დეველოპერული კომპანია ვალდებული იქნება ფასი მიუთითოს ღარით, თუმცა, ამავე დროს, ის არ იზღუდება, თუ მას სურვილი ექნება, ფასი მიუთითოს დოლარითაც და ნებისმიერი სხვა ვალუტითაც“, – განაცხადა სმბ-ის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტირიშვილმა.
 მთავრობისა და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას პირველი კრიტიკა უკვე მოჰყვა. COLLIERS INTERNATIONALS GEORGIA-ს დირექტორის ირაკლი კილაურის აზრით, ახალი რეგულაციები საქართველოს, როგორც საინვესტიციო ბაზრის, მიმზიდველობას შეამცირებს და ცალსახად გამოიწვევს უფრო მეტ დაკვირვებას უცხოელი ინვესტორების მხრიდან. უძრავი ქონების ღარში ფასდადება კი დეველოპერებს რისკებს გაუზრდის.
 კილაურის განცხადებით, ცვლილებებთან დაკავშირებით სიფრთხილეა საჭირო და ახლა მთავარია ეს ინიციატივა, რა სახით „გადაითარგმნება“ კანონპროექტში. ბიზნესმენი მიიხედავს, რომ ინიციატივა მოკლევადიან შედეგზეა გათვლილი და გრძელვადიან პერიოდში შეამცირებს საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობას.
 „თუკი დეველოპერებს დაავალდებულებენ, რომ ფასი შესთავაზონ ღარში, მაგრამ დაუტოვებენ უფლებას ეს ფასი რეალურად დოლარს მიაბან შენობის ფორმით, მაშინ ამას არანაირი ეფექტი არ ექნება, მაგრამ თუ რეალურად მოუწევთ ღარში ფასების დაფიქსირება და ფასის ცვლილება შეუძლებელი გახდება, მაშინ მნიშვნელოვანი რისკი დგება და საკმაოდ უარყოფით გავლენას იქონიებს ეს დეველოპერებზე. საბოლოოდ, უარყოფითად აისახება უცხოურ ინვესტიციებზე, რომელიც იდება სექტორში“, – განუცხადა „ბიზნესკონტრაქტს“ კილაურიძემ.
 რამდენადაც მშენებლობისას ძირითადი ხარჯები უცხოურ ვალუტაშია და დოლარის ეფექტს ამ სექტორში ვერ გავქმცევით. „ეს სექტორი და ბიზნესი იყო დოლარში წლების განმავლობაში და ახლა ერთი ხელის მოსმით მისი გაღარება შეუძლებელია, არ გამოვა. შეიძლება ბევრი კომპანია რისკის ქვეშ დადგეს, ვერ მართონ ფინანსური რისკები და მივიღოთ პრობლემური კომპანიები“, – ამბობს კილაურიძე.
ბექა დანელია

„პროტექციით გართობაზე არც ასაკოვანი აღამიანები ამბობენ უარს და ახალი წლის დამეს საავადმყოფოში აღმოჩნდებიან სოლმე“



ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ჩინეთიდან შემოტანილი იაფფასიანი უხარისხო პიროტექნიკა მძიმე ტვირთად აწევს ჩვენი მოსახლეობის ფინანსებსაც და ჯანმრთელობასაც. სულ ახლახანს თბილისში სამ წლამდე ბავშვს ე.წ. ხლაპუშის აფეთქების შედეგად მარჯვენა ხელის მტევანი დაუზიანდა და დამწვრობითა და ჭრილობებით იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ცენტრში გააქანეს. საბედნიეროდ, პირველადი ქირურგიული დამუშავების შედეგად ბავშვს გაუმართლა, მისი ხელის მტევანი გადარჩა და მტევნის ფუნქციაც აღდგა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად ბავშვის ჯანმრთელობას ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენების გამო პრობლემები შეექმნა. თუმცა გაცილებით საგანგაშოა გასული წლის მონაცემები, როცა მხოლოდ დამწვრობის ცენტრში 100 პაციენტს ჩაუტარდა მსგავსი მკურნალობა. რეალურად კი, ახალი წლის დადგომასთან ერთად ასაფეთქებელი ნივთიერებებით დამწვრობის შემთხვევები 100-ზე ბევრად მეტია, რადგან ერთი კლინიკის გარდა, სხვა არაერთი საავადმყოფოც დღეულობს დამწვრობის ნიშნით დაზიანებულ პაციენტებს.

შუშუნით დაზიანების რისკგუგუში

განსაკუთრებით ბავშვები ხვდებიან. თუმცა, რადგან გასაკვირიც უნდა იყოს, არც ასაკოვანი აღამიანები ამბობენ ამგვარ გართობაზე უარს და ახალი წლის დამეს ნახვამინი საავადმყოფოში გადაინაცვლებენ ხოლმე.

ექსპერტებისთვის გაუგებარია, რატომ აძლევენ მშობლები მცირეწლოვან შვილებს პიროტექნიკის გამოყენების საშუალებას და ასაფეთქებელი ნივთიერებით გართობის დროს შეთვალეურობის გარეშე რატომ ტოვებენ პატარებს? ამ რამდენიმე თვის წინ სწორედ მშობლების უყურადღებობა დასახელდა II თვის ჩვილის დამწვრობის მიზეზად, რომელიც შუშის გავარვარებულ ლუმელზე პირქვე დაეცა და საოპერაციოდ იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს კატასტროფის ბრიგადის წევრებმა ხელოდან.

იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელი გუგა ქაშიბაძე შორმ-სთან საუბარში ამბობს, რომ დამწვრობის ცენტრში 25 დეკემბრიდან იწყება ხოლმე პაციენტების ნაკადი. შარშან 100 პაციენტს გაუწიეს სერვისი, აქედან 20 ბავშვს დასჭირდა სტაციონარში მოთავსება და 8 ქირურგიული ჩარევა ჩატარდა.

გუგა ქაშიბაძის თქმით, წელსაც მთელი ახალი წელი და, ასევე, ძველი ახალი წელი წინ არის. ამიტომ მედიკოსის რეკომენდაციაა, მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვებს ასაფეთქებლებით თამაშის დროს. რაც არ უნდა იაფფასიანი, დაბალი ხმის მქონე, პატარა ასაფეთქებელი იყოს, გარკვეული მუხტი მაინც აქვს და მისი აფეთქება დაზიანებას იწვევს. ამასთან, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ინსტრუქცია, თუკი ასეთი რამ ასაფეთქებელ ნივთიერებას მოჰყვება.

„ასაფეთქებელს, რომელსაც აწერია, რომ მხოლოდ გაშლილ მინდორზე შეიძლება მისი გამოყენება და 30 მეტრის რადიუსში არავინ უნდა იყოს, დიდ ოთახში,

საკუთარ ოჯახში რომ ააფეთქებ, რაზე საუბარი?! ეს არის ტრაგედიები, რომელთაც აცილებაც თავისუფლად შეიძლება. ამიტომ საფრთხის წინაშე ნუ დააყენებენ საკუთარ თავს, ოჯახის წევრებს და საკუთარ თავზე ნუ გამოსცდიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სიკეთეს. შარშან მარტო დამწვრობის ცენტრში ას პაციენტს ჩაუტარდა მკურნალობა, მაგრამ გაცილებით მეტია ასეთი პაციენტები სხვადასხვა კომბინირებული დაზიანებით და მათ მიერთიურგიული ოპერაცია სჭირდებათ. განსაკუთრებით, ზამთარში დამწვრობის კუთხით აკეთსავე იაშვილის კლინიკას, ჟენიას კლინიკას, რესპუბლიკურ საავადმყოფოს და სხვა. ასეთი შემთხვევების უმეტესობა ბავშვებზე მოდის, მაგრამ ასაფეთქებელი დაზიანებული ისეთი სერიოზული ხალხი მინახავს, გაგიკვირდებათ. ნახვამ მდგომარეობაში, საყოველთაო ეიფორია აქვთ და ახალი წლის დადგომასთან ერთად შუშუნა ასხენდებოთ“, – აღნიშნა გუგა ქაშიბაძემ.

მანვე ფატალურ შემთხვევებთან დაკავშირებით განმარტა, რომ უმძიმესი შედეგები, სავარაუდოდ, არ ყოფილა, მაგრამ ახალი წლის დღეებში კლინიკაში მოთავსება და ოპერაცია რომ დასჭირდებოთ ადამიანებს, ეს უკვე დაფიქრების სერიოზულ მიზეზს გვაძლევს. თანაც, ეს ხდება არაფრის, უფრო სწორად, რაღაც შუშუნის გამო.

გუგა ქაშიბაძე შუშუნების ჩინურ თუ თურქულ წარმომავლობას ვერ ადასტურებს, თუმცა ეკვობს, რომ ყველა მათგანს არ აწერია გამოყენების წესი. მისი დაკვირვებით, შესაძლოა, ყუთს ეწეროს ინსტრუქცია, მაგრამ საცალო გაყიდვისას გამოყენების წესი არ ფიქსირდება.

„არა მგონია, ყუთში, სადაც ასი ცალი ასაფეთქებელი საშუალება დევს, საცალოდ თითოეულს ინსტრუქცია მოჰყვებოდეს. არც ის მგონია, რომ პიროტექნიკის აკრძალვამ შედეგი მოიტანოს. ასე შეიძლება

ასანთიც აკრძალვით დადგან ხშირად ასანთიც გამხდარა ხანძრის მიზეზი. პიროტექნიკის გამოყენებისას მთავარია უფრო მეტი საუბარი ბავშვებთან, ყურადღება და თვითშეგნება“.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ოსმ-ს ასოცირებული პროფესორი ეთერ სარჯველაძე შორმ-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, სამწუხაროდ, მშობლები არ ეცნობიან ინსტრუქციას და არ უხსნიან შვილებს, როგორ უნდა ეჭიროთ ხელში ასაფეთქებელი საშუალებები, როგორ უნდა ისროლონ, რა დიაპაზონზე უნდა ჰქონდეთ სხეულთან, როგორი მიმართულებით ეკავოთ. ამას ემატება არასწორი შენახვის, გადატანის პრობლემაც.

მისი თქმით, ძირითადად, ასაფეთქებელი საშუალებების წარმომავლობა ჩინურია. ზოგჯერ მათ ცალობით ყიდიან და შუშუნას არ აწერია გამოყენების წესი. ასეთ დროს ინსტრუქცია აუცილებლად უნდა გამოაკრან.

„პიროტექნიკის აკრძალვას იმ შემთხვევაში ვემხრობი, თუკი ის არ აკმაყოფილებს ტექნოლოგიის წესებს. ევროპული პიროტექნიკა უფრო მოკლე რადიუსში ისერის და დაზიანების ალბათობაც ნაკლებია, ჩინურს კი უფრო გრძელი რადიუსი აქვს და დაზიანების მეტ შესაძლებლობას იძლევა. თანაც, ევროპული პიროტექნიკა აუცილებლად სტანდარტიზებული და შემოწმებულია. მაინც მგონია, რომ მცირეწლოვან ბავშვებს მშობლებმა არ უნდა მისცენ ე.წ. ხლაპუშები, რადგან ადრეულ ასაკში პატარებს უჭირთ ექსპლუატაციის წესების გაგება. ხშირია დაზიანების ფაქტებიც, თუმცა ვერ გეტყვით, ათი ბავშვიდან ორი დაზიანდა თუ უფრო მეტი. ამიტომ მშობლებმა ან არ უყიდონ, ან პატარა ბავშვებს დამოუკიდებლად შუშუნების გამოყენების საშუალება არ მისცენ“.

მანანა ნოზაძე

„ინტენსიურად იღვბლა ანტიდოპრინსანტებს და ფსიქოპროპულ ნაშლებს“ – სააკაშვილის დიაგნოზი



„მიხეილ სააკაშვილის დაკითხვამდე, ცუდი არ იქნება, თუ საქართველოს მთავარი პროკურატურა გაცნობს ვერსიის შვიდი ინსტიტუტის მიერ გაცემულ დასკვნას, რომელიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ფსიქიატრიულ დიაგნოზს ეხება“, – ამის შესახებ MEDIACITY.GE წერს.

დასკვნა 2004 წლით თარიღდება და არსებული ინფორმაციით, იგი თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ შეუკეთა, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე. დასკვნის ორიგინალი მანამდე გაქრა, სანამ იგი ადრესატამდე მოაღწევდა და როგორც ამბობენ, ყოველივე ამასზე გიგა ბოკერია იზრუნა.

განმეორებითი კვლევა აღარ ჩატარებულა... 2009 წლამდე 2009 წელს მიხეილ სააკაშვილის ვილინუსში ვიზიტის დროს პრეზიდენტი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი სტაციონარში. პოსპიტალიზების მიზეზი არ გახმაურებულა, თუმცა გამოჟონა ინფორმაცია, რომ სააკაშვილმა თვითმკვლელობა სცადა. ლიტველმა ფსიქიატრებმა ფაქტობრივად იგივე დიაგნოზი დასვეს, რაც 2004 წელს ევროპულმა ექიმებმა. ზურაბ ჟვანიას პრემიერობის დროს მიხეილ სააკაშვილისთვის დიაგნოზის დასმაში შემდეგი ინსტიტუტები იღვბდნენ მონაწილეობას:

1. ტონსბერგის ფსიქიატრიული ცენტრი (ორსენსალი, ნორვეგია);
2. ჯანდაცვის ნაციონალური საზოგადოებრივი ინსტიტუტი (ოსლო, ნორვეგია);
3. ფსიქიატრიის დეპარტამენტი (ფინეთი);
4. კრისტინ ალბრეხტის უნივერსიტეტის ნერვული დაავადებების ცენტრი (კიოლნი, გერმანია);
5. ჟენევის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის დეპარტამენტი (შვეიცარია);
6. ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, ფსიქონალოგიის და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტი (ავსტრია);
7. ამსტერდამის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

მას შემდეგ II წელია გასული. გადიოდა თუ არა მკურნალობის რაიმე კურსს სააკაშვილი, უცნობია. ცნობილია, რომ ინტენსიურად იღვბდა ანტიდოპრინსანტებს და ფსიქოტროპულ წამლებზე იყო „შემჯდარი“. ხსენებული მედიკამენტები კატეგორიულად იკრძალება იმ დიაგნოზის დროს, რასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

საკაშვილის დიაგნოზი კი ასე გამოიყურება:

„მოტივაციის ძირითადი ფაქტორები: ამბიციურობა, პატივმოყვარეობა, ჯიბრბანობა და დომინირების სურვილი. შეიძლება ვი-კლავულოთ, რომ დაბალი თვითშეფასება და არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც მას ადრეულ ბავშვობაში ჩამოუყალიბდა, განსაზღვრავს მის ლტოლვას ძალაუფლებისკენ. ნარცისიზმის გამო მას არ ახასიათებს თანაგრძნობა, არ აინტერესებს სხვა ადამიანების გაჭირვება, მათი გრძობები, მისთვის დანარჩენი კაცობრიობა არის უსახო ბრბო, რომელიც აკლდისმენტებს უკრავს. ვერ იტანს კრიტიკას.“

მიხეილ სააკაშვილის სოციალური ქცევისას, სახეზეა მუდმივი წინააღმდეგობა გარეგნულ ქმედებასა და შინაგან ემოციურ

შემადგენლობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად იგი გულწრფელობის, ექსპრესიულობის და კომუნიკაბელურობის დემონსტრირებას ახდენს, იგრძნობა შინაგანი დაძაბულობა, გაზრდილი ნერვული აღგზნებადობა და ეჭვიანობა. ნიშანდობლივია მისი ქცევის არავერბალური კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ მისი მიმიკა ცოცხალი და არსებულ ვითარებასთან შესატყვისია, იგივე არ ითქმის მის ფსიქოკულაციაზე. კერძოდ, ხელების მოძრაობა „ჩეხვითია“, ხელისუკლები კონველსიურად ერთდება და ქცევის ეს „მოიერიშე“ მოდელი არ იცვლება მთელი საუბრის განმავლობაში, როდესაც მას საგანი არ ესმის, იგი მიმართავს უაზრო და აბსოლუტურად არაფრისმოქმედ სიტყვებს, რათა კითხვაზე პასუხი არ გასცეს და ამით დათრგუნოს მოსაუბრე. ატიქამს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება მის კონცეპტუალურ სტრუქტურას და მოლიანად გამოიციხავს ყველაფერ დანარჩენს.

უკიდურესობამდე მიყვანის შემთხვევაში ეს გადახრა შეიძლება გადაიზარდოს მეგალომანიაში, აკვიატებულ ანდა მანიაკალურ სინდრომში (ვინაიდან, იგი მოწოდებულია გახდეს „რჩეული“), რაც ადვილი შესაძლებელია დამთავრდეს სუიციდით. საბოლოო ჯამში, მიხეილ სააკაშვილის განათლების დონე არის საშუალოზე მაღალი, მაგრამ, მის არგუმენტაციას არ აქვს სიღრმე და დამოუკიდებლობა. მისი მსჯელობა ძალზედ ჩვეულებრივია. ეყრდნობა ცნობილ ინფორმაციას და ხშირად პლაგიატს. თუ შეჩვენა მხოლოდნელ შეკითხვას, როგორც წესი, არ შეუძლია შესთავაზოს მოპასუხეს სწორი პასუხი, ამიტომაც გადადის ზოგად თემებზე, რომ მიჩქალოს კითხვა.

დიაგნოზი ძლიერი პარანოიდური აშლილობა მკბ 10. ინსტრუქციული ტიპა-

ვით ნარცისიზმის კომპლექსით. იგი უადრესად მტკივნეულად განიცდის წარუმატებლობას. გარესამყაროს უყურებს როგორც მტერს და არ ენდობა მას. ადეკვატური მკურნალობის არქონის შემთხვევაში ეს დომინანტური შინაგანი ფაქტორები გარდასახულ იქნება თვითდაცვის შიპერკომპენსაციონარულ მექანიზმში, რაც რეალობის შეგრძნების ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ კი მთლიანად დაკარგვაში გარდაიხსნება. ასეთ შემთხვევაში, მას გაზრდილი ძლიერი მიდრეკილება სუიციდისადმი, რაც მკურნალობის კურსის გარეშე ადვილი განხორციელებადია“.

ასე რომ, კი უყვარს ექს-პრეზიდენტს თავისი თავი „ნამეტნავად“, მაგრამ რა გარანტია არსებობს, რომ წინასწარი დაკავების იზოლაცორში საკუთარ „ძალსტუხისგან“ საღვთო აქსესუარი კი არა, ყულფი გამონახავს და თავი გაუყაროს. აი, როდის არ აგვეცდება საერთაშორისო სკანდალი.

ყოველივე ამას დაუმატეთ ნარკომიდრეკილება და წარმოდგინეთ, რომ ეს შეშლილი ნარკომანი, დაშნაკი სომეხი 9 წელიწადი აჯდა საქართველოს თავზე და რაც მოეპოვებოდა იმ სისამაგლეს სწადიოდა.

იქნებ ამიტომაც გვეძახიან სომხები „გიჟ-გაცუას“ და ცინიკურად ვეპიტ-კიცებენ, რომ ქართველები ძლიერები არიან სხვების სახელმწიფოს მშენებლობაში, თავიანთ სამშობლოს კი ვერასოდეს აქცევენ სახელმწიფოდ, რადგან ისე ბრმად ირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტად პოლიტიკოსს, რომ მისი ეთნიკური წარმოშობით არ ინტერესდებიან, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ასი წლის წინათ ამტიცივდა იაკობ გუგუბაშვილი, რომ სააკაშვილები ეთნიკურად ქართველები არ არიან!

იქნებ ნამდვილად ასეთი ბრმები და ყრუები ვართ ქართველები?

მაშინ მართლა რა გვეშველება?!

ესანი არიან პარტიაში ახლად მოთრეულები და ბოქერის წყალობით, სრულიად დაუმსახურებლად აღზავებული

(კასრში გამომწვევად კანბალი ვირთხები ერთმანეთს დაერივნენ)

“გიგა ბოკერია ამპარტავანი და უსაფუძვლოდ ამბიციური ადამიანია, რომელსაც ძალიან ბევრი რამ აქვს გაფუჭებული როგორც პარტიისათვის, ისე ქვეყნისთვის და ახლაც განაგრძობს მავნებელურ საქმიანობას”

“როგორ შეიძლება პუტინის “ქართული ოცნების” და გიგა ბოკერიას კლანის ინტერესები ერთხედ ერთმანეთს, თუ იქ გარიგება არ არის?”

ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავარი ოპოზიციური პარტია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ელიტაში სერიოზული უთანხმოებაა მისი დაამარცხებისა და უცვლელი ლიდერის – მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, ცნობილი გახდა მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც „ნაციონალურმა“ გამანადგურებელი დამარცხება განიცადა: მიხეილ სააკაშვილის პარტიამ 150-კაციან პარლამენტში მხოლოდ 27 ადგილის მოპოვება შეძლო და ეს მაშინ, როცა მილიარდობით ბიზნის ივანიშვილის მიერ შექმნილმა მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში მიღებული 115 სადეპუტატო მანდატით საკონგრესო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჩამოაყალიბა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების რეაქცია მოწინააღმდეგეების ანუ მიხეილ სააკაშვილის მომხრეების მიმართ მკაცრი იყო: მედიაპოლიტიკა „ტაბულას“ რედაქტორმა და მთავარმა მენეჯერმა თამარ ჩორგოლიანი შეიქმნა ლიდა წაუყენა ბრალი ექს-პრეზიდენტსა და ოდესის ოლქის ექს-გუბერნატორს იმაში, რომ მან თავისი „ცრუ განცხადებებით“ საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილებს შესახებ „დააშინა ამომრჩეველები და ხელი შეუწყო მათ კონსოლიდირებას ბიზნის ივანიშვილის ირგვლივ“. „რატომ არ დაბრუნდა, თუ იგი ასეთი გაბედულია?“, – ირონიულად ამბობდა თამარ ჩორგოლიანი. ნიშანდობლივია, რომ მისი მუქვანი გიგა ბოკერია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია გახლავთ. ასეთი ბრალდების წაყენების შემდეგ უთანხმოების დამძლავს უკვე აზრი აღარ ჰქონდა. შესაბამისად, ორ ბანაკად გაყოფილმა პარტიულმა ლიდერებმა სო-

ციალურ ქსელებში დისკუსია ღიად დაიწყო. გაირკვა, რომ ერთი ჯგუფი, რომელსაც გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს, პარტიის თავმჯდომარედ არჩევისათვის მხარს უჭერს დავით ბაქრაძეს (პარლამენტის ექს-სპიკერს). აღსანიშნავია, რომ პარტიის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური იყო 2013 წლის ნოემბრიდან, ანუ იმ დროიდან, როცა მიხეილ სააკაშვილი ფაქტიურად საქართველოდან გაიქცა, შემდეგ კი უკრაინის მოქალაქეობა მიიღო.

ამის შემდეგ პარტიის ლიდერები უკვე სოციალურ ქსელებში უპირისპირდებიან ერთმანეთს. ერთ-ერთი, ვინც საკუთარ მოსაზრებებს ღიად აფიქსირებს, დათა ახალაიას ადვოკატი და როგორც თვითონ ამბობს, „ნაციონალური მოძრაობის“ ვეტერანი წევრი ირაკლი ზაქარაიშვილია:

– „ნაციონალური მოძრაობა“ ჯგუფებად დაყოფილი არაა, პარტია დღეს ერთიანია ისე, როგორც არასდროს, მაგრამ არის ერთი მუჭა პოლიტიკანების, მოღალატეების, კონფორმისტების და პარტიის მესხეთე კოლონიის ჯგუფი, რომლებიც თავს წარმოაჩენენ რაღაც ძალიან, 20 იანვარს, როცა გაიმართება ყრილობა, ყველაფერს დაერქმევა სახელი და ყრილობა მიიღებს მათ მიმართ შესაბამის გადაწყვეტილებას.

– შეგეძლიათ ამ პიროვნებების დასახელება?

– რატომ ჩამოვთვალო, ეს ისედაც ყველასთვისაა ცნობილი. მიმანია, რომ ეს ხალხი გარიგებულია ხელისუფლებასთან და ყველაფერზე მიდიან, რომ თავისი ბინძური ზრახვები და სახელისუფლებო დაკვეთები განახორციელონ და საკუთარი ღალატი „გააპრაფონ“.

– თოთ კახიძის თქმით, პარტიის განვითარებას სააკაშვილის სახელს ამოფარებული ახალაიების ჯგუფი უპირისპირდება...

– ეგ არის ერთ-ერთი ის პოლიტიკანი, ვისზეც ვლაპარაკობ. თოთ კახიძე ძალიან ბევრს იღებს თავის თავზე, მაშინ როდესაც არაფერს წარმოადგენს. ყველა ის ადამიანი, ვინც პარტიის წინააღმდეგ შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას, ვინც დაგმო მხარდასმელები, ვისაც მიანდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ზედმეტია და მისგან დისტანცირებას ცდილობდნენ, ვინც პროვოკატორობს და აყოლილია ამ ერთი მუჭა კოლაბორაციონისტების ფეხის ხმა, ყველა პოლიტიკანია. მათგან განსხვავებით, მე გამანია ჩემი პოზიცია. ვარ პარტიის ვეტერანი – მისი წევრი ვარ 2001 წლიდან. ესენი კი არიან პარტიაში ახლად მოთრეულები და ბოკერიას წყალობით, სრულიად დაუმსახურებლად აღზვებულნი.

– რატომ შეუწყო ხელი გიგა ბოკერიამ ამ ხალხის აღზვევას?

– იმიტომ, რომ გაეკეთებინა ის, რასაც ახლა აკეთებს. გიგა ბოკერია ამპარტავანი და უსაფუძვლოდ ამბიციური ადამიანია, რომელსაც ძალიან ბევრი რამ აქვს გაფუჭებული როგორც პარტიისათვის, ისე ქვეყნისთვის და ახლაც განაგრძობს ამ საქმიანობას.

– და თუ ქვეყნისთვის მავნებელურ საქმიანობას ეწეოდა რატომ არ ამბობდით აქამდე?

– ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება. ამ მოცემულობაში ყველამ წარმოაჩინა საკუთარი თავი.

– ანუ მიმდინარე ფაქტებმა დაგარწმუნათ, რომ ბოკერია სახელმწიფოსთვის საზიანო საქმეს ეწეოდა?

– არა მხოლოდ ამ ფაქტებმა, მანამდეც ყველასთვისაც ნათელი იყო ბევრი რამ, მაგრამ იყო სახელმწიფო და პარტიული ინტერესი. გარწმუნებთ, რომ 20 იანვარს მათი პოლიტიკური კარიერის დასაბრუნებლად.

– ეს ალბათ გაჭირდება, რადგან მათი უმეტესობა პარლამენტარია უკვე თან „ნაციონალური მოძრაობის“ წარმოდგენენ...

– რომ შეხტნენ პარლამენტში, რისი მაქნისები არიან და რას აკეთებენ?! პარლამენტში არ უნდა შესულიყვნენ, რადგან არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, მათ აბსოლუტურად არაფერი გააკეთეს ხმების დასაცავად და ბაქრაძის მიუხედავად, შეცვივდნენ პარლამენტში და დაიკავეს წითელი სკამები. ახლა კი ამბობენ, რომ ვითომდა არჩევნები რეალურად წავაგეთ და ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ და რაღაც 8-წლიან ციკლებზე ვლაპარაკობენ. ეს არის სისულელე, ისინი დახარბდნენ სკამებს და თანამდებობებს, წლების განმავლობაში იყვნენ მუქთასორები და მუქთამჭამელები. „ნაციონალური მოძრაობას“ ხომ ჰქონდა ლოზუნგი – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, ესენი იქცეოდნენ პიქარი – „ლაპარაკი საქმის ნაცვლად“ და ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ვაურიგდნენ ხელისუფლებას. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება ვლადიმერ პუტინის „ქართული ოცნების“ და გიგა ბოკერიას კლანის ინტერესები ერთხედ ერთმანეთს თუ იქ გარიგება არაა?

– ცოტა ხნის წინ დეპუტატმა ლელა ქუბურამ, განაცხადა რომ სოციალურ ქსელში მას ემუქრებოდა...

– ეს ფრთა აწყობს პროვოკაციებს, თითქოს ვიღაცეები ემუქრებიან. ეს არის სშს-ის ხელწერა და ესენი ამ თამაშში ხელისუფლებასთან ერთად არიან ჩართულები, რაც ძალიან სამწუხაროა. თოთ

კახიძე წლების განმავლობაში სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ ლანდვის მეტს არაფერს აკეთებდა, ელენე ხოშტარია დადიოდა გირგვლიანის აქციებზე და საერთოდ გირგვლიანის დაქალია.

– და თუ ეს ყველაფერი იცოდით, რატომ შეიყვანეთ ეს ხალხი სიაში?!

– მე ვინ შევითხებოდა სიაში ხალხის შეყვანას?! აი, ჩიორა თაქთაქიშვილი ამბობს, რომ ყველაფერი დახურული წრეში წყვდებოდა და არაფერი იყო გამჭვირვალე. ეს ყველაფერი გიგა ბოკერიას ოინებია. მიმდინარე პროცესებმა გამოაჩინა ვინაა ერთგული და ვინ ორგული.

– დათა ახალაიას თუ ელაპარაკეთ ამ საკითხზე?

– არა, რა თქმა უნდა, და საერთოდაც, ის არაფერ შუაში არაა ამ საკითხთან.

მოკლედ, ნაციონალურ მოძრაობაში დიდი მიწისძვრება მოსალოდნელია. ფაქტია, რომ პარტიაში ფინანსური მიზეზი არსებობს, ოღონდ ეს არის მეორეხარისხიანი. აქ მთავარი შესხვედლებების და პოზიციების დაპირისპირებაა. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, პარტია გაიყო ბოკერიას მხარდასმელებად და სააკაშვილის მხარდასმელებად. აქედან გამომდინარე, ბრძოლაც ამ ფორმით მიმდინარეობს. და, მიზეზად ფინანსურ კრიზისს დაასახელებენ თუ სხვა რამეს, ეს უკვე ფანტაზიის სფეროა, ნებისმიერს შეუძლია რაღაც მოიგონოს. ახლა, ვითომ დამაჯერებელი მიზეზი მოიგონეს, რომ ფული აღარ გვაქვს და არ გვჭირდება ამდენი ხალხი. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს არის იმ დაპირისპირების შედეგი, რომელიც პარტიაში ორ გუნდს შორის არსებობს.

საკაშვილი არ დათმობს „ნაციონალური მოძრაობას“ – ეს გამორიცხვულია და პარტიის ნებისმიერი წევრი ამას ძალიან კარგად აცნობიერებს. არც მეორე გუნდი არ გავა პარტიიდან, ანუ ბოკერიას გუნდი. ყოველ შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს, რომ არ გავიდეს, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ არის ბრენდი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ ისინი თავისთვის, უკეთეს შემთხვევაში, შეეცდებიან კომპრომისზე წავიდნენ, უარეს შემთხვევაში – პარტიაში ძალიან სერიოზული დამაბულობა იქნება. არ არის გამორიცხვული რომ დაანონსებულ ყრილობაზე პარტიის წევრთა ერთი ნაწილი გაირიცხოს. თავისი ნებით „ნაციონალური მოძრაობას“ არცერთი მხარე არ დათმობს. ასე რომ დაპირისპირება იქნება სერიოზული და ეს გამწვავდება ყრილობაზე“.

კომბლე მიდის სოლოლაკში და ბიძინას ეპითხება, – ჯეჯელაბა ამ არისო? – ლარი, ტრამპი და...

როგორც ჩანს, მანანა კობახიძის პრინციპული სიჯიუტე ყელში ამოუვიდათ ზემოთ და კი დატოვეს მადალი თანამდებობის გარეშე, თუმცა, დონალდ ტრამპის, ალექსანდრე ჯეჯელაბას და ლარის კურსთან, ვის ემანანება ახლა?

დონალდ ტრამპი ზოგისთვის სამყაროს გადამრჩენია, ზოგისთვის – ქვეყნიერების დამაქცევარი და მისი შეფასება საქართველოს მხრიდან აუცილებელია: ჩვენ ხომ სხვის ომში ბრძენი ვართ! რაც შეეხება ლარს, „ქოცებმა“ რა აღარ თქვეს! რემიქსი რომ შექმნა წინასწარჩევილად „ქართული ოცნებისთვის“, იმ მუსიკოსმაც „დადო“ ლარზე ანალიზი: მოსახლეობას დოლარით მეტი ლარი მოხდის, ეს დადებითი ეფექტიც არისო! გასაოცარია და აღექვანდრე ჯეჯელაბამაც კი გაანალიზა ლარის მდგომარეობა, ლარის დასუსტებას მაკროეკონომიკური საფუძვლები არა აქვსო! დავგვიკა ამ კაცის ანალიტიკურმა უნარებმა: კომბლე და ნაცარქექია უვარგისია, სახეპიროები არ გვჭირდება, „ავთანდილის ანდერძი“ თამაშობსასაც კი არ გამოდგება, გომბეშოს ჭამა კი კარგიაო! ამის

მერე „ფეისბუკის“ ქართველობამ ხელი კომბალს თუ კლავიატურას დაავლო და კინაღამ ქსელურად მოქევა განათლების მინისტრი!

დააცადეთ ცოტაც და მალე ალბათ ჯეჯელაბა იტყვის, რომ განათლების სისტემის უვარგისობის ბრალია, 2015 წელში 9 ათასზე მეტი ოჯახი რომ დანგრეულა სექსუალური პრობლემის გამო! და სად უნდა მოკვებნოთ პრობლემის სათავე, თუ არა ქართულ ლიტერატურასა და სექსუალური განათლების უქონლობაში?

ერთ მშვენიერ დღეს, არ გამოკვირდება, ჯეჯე თუ იკითხავს: აწვდის თუ არა ქართველ მოსწავლეს ქართული ლიტერატურა სწორ სექსუალურ განათლებას, თუნდაც „ფეფხისტყაოსნით“? გავისხენოთ ის ფაქტი, რომ ტარიელი უსეკსობით იტანჯავს თავს, ისევე, როგორც თინათინი, ნესტან-დარეჯანი და ფრიდონი! ავთანდილსა და ფატმანს ეს საკითხი როგორდაც მოგვარებული აქვთ, მაგრამ ავთანდილი არ არის იდეალური პარტნიორი, რადგან მისი პარტნიორი თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით ცხოვრობს და

მასთან ურთიერთობისას არ იყენებს უსაფრთხო სექსისთვის აუცილებელ საშუალებას – პრეზერვატივს!

არც „აბოს წამება“ ჩაჯდება მინისტრ ჯეჯელაბას ვეპონებაში, რადგან მისი მენელსაცხებლობა არაფრის მომტანია ჩვენი მომავალი თაობისთვის, რადგან მისი ნელსაცხებლობით არც დონალდ ტრამპი იკაზმება, ვერც წამყვან ბრენდებს გაუწევს კონკურენციას მისი ინანთეული, ჩვენ კი კონკურენტუნარიანი პროდუქცია გვჭირდება! მსოფლიო ბაზარზე დასამკვიდრებლად!


კონკურენცია და ჯანდაბა ჩვენს მთავრობას! რამდენ ხანს გვეყოფა „ნაციონალურების“ სიძულვილი მაგათი უნარობის შემწეობისათვის?! „ქოცებმა“ კი თქვეს, ტრამპის ფაქტორის გამო დოლარის კურსმა აიწია მსოფლიოში და ავერ ჩინური იუანის მსყიდველობითი უნარიც კი მაქსიმალურად დაეცაო. გასაგებია, ბატონო, რომ თუანი დაეცა ახლა, ოდესღაც უკრაინული გრიფა და თურქული ლირაც, მაგრამ ეს ლარი მუხლმოსუსტებული მოხუცოვით წარამარა რატომ ეცემა?!

გარე ფაქტორების გარდა ეგებ ვინმეს გახსენებოდა, რომ წინასწარჩევილ ბევრი ლარი გაიბნა მოსახლეობაში და არჩევნების მერე ინფლაცია ჩვეულებრივი ამბავია! ავი ნებები ამბობენ, რომ თითო საარჩევნო ოლქში, მინიმუმ, ოციციადურ სახელფასოდ „ქართულმა ოცნებამ“ ნახევარ მილიონზე მეტი დახარჯაო! დაეიჯერო, რომელიმე მაკორიტარი ნახევარი მილიონი ლარის საფასურს გაუკეთებს თავის ამომრჩეველს?!

P.S. კომბლე მიდის სოლოლაკში და ბიძინას ეკითხება,

- ჯეჯელაბა აქ არისო?
- არა, ბატონო.
- მაშინ ის დიდი ფარები რომ გაქვს, პარლამენტი რომ ჰქვია, იქ დავექნები!
- არა, არა, იქ არ არის, ავერ ახლოშია, მინისტრთა კაბინეტშია, მყარადო!
- მე თავი დამანებოს, თორემ კომბლები ჭერში ისევ მიწვივა და რბილ ადგილებში რომ დაეცხებ, მერე მიხვდება, სასწავლო პროცესს რომ უნდა მიხედოს და არა – მეზღაპრეობასო!

მორიგი სახალწლო ზღაპრები ანაკლიის განვითარების კონსორციუმისგან (იგივე საზარაქი და კონსი ჯგუფისგან) ზუგდიდსა და ანაკლიაში!



კიდევ ერთმა წელმა ჩაიარა. უამრავ იმედები დაჟინდა, გარდა იმისა, რომ ცოცხლები ვართ, დიდად ვერაფრით გავანებებოდა, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედი მაინც არ გვეტოვებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ 2018 წლის ბოლოს ამ სტატიით მივმართო „ანაკლია პორტის ათასწლეულის პროექტის“ ბედით დაინტერესებულ მკითხველს, რათა ამ პროექტისადმი უპასუხისმგებლო მოპერობით გამოწვეული მისალოდნელი წარუმატებლობები დროზე იქნას გაცხადებული, რომ ახალ წელს სუფთა გონებით და შემართებით შევხვდეთ.

მკითხველს შევახსენებ, რომ 2016 წლის 8 და 9 დეკემბერს ზუგდიდსა და ანაკლიაში წინასწარ დაანონსებული „ანაკლია პორტის მშენებელი კომპანიის მოსახლეობასთან შეხვედრები“ შედგა.

ბუნებრივია, ჩვენც (მე და სტუმარი გერმანიის საპორტო ქალაქ კილიდან, პროფესორი რუდიგერ ფონ ანდრესენი), დიდი ინტერესით ჩავედი ორივე პუნქტში „ანაკლია პორტის მშენებელი კომპანიისთან შეხვედრად“. სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი, - საინტერესო ინფორმაციები მოგვესმინა შავი ზღვის აუზში ერთ-ერთი უდიდესი „ანაკლია პორტის“ მშენებლობისა და დაფინანსების შესახებ, არა მარტო არ გამოხატდა, არამედ გაწვილებული და ამხელა გზაგამოვლილები შეურაცხყოფილებიც კი დაგვეტოვა.

ზუგდიდსა და ანაკლიაში „ანაკლია პორტის მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს“ გამოსვლები სრულიად ვერ პასუხობდნენ პორტის მშენებლობისა და მისი ოპერირების საკითხებში გათვითცნობიერებული სტუმრების შეკითხვებს. დასმულ კითხვებზე „პორტის მშენებელი კომპანიის“ წარმომადგენელი ინგლისურად მოსაუბრო ერთი ქალბატონი თავაზიანად პასუხობდა - „ჩვენ ეს არ გვეხება, ამ კითხვებზე ვერ ვიპასუხებთ!“

კითხვები კი ძირითადად ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის გასახლებაზე, ტენდერით გათვალისწინებული - წელიწადში 100 მილიონ ტონა ტვირთბრუნვის ღირებულებით პორტის მშენებლობის დადასტურებას, მის ალტერნატიულ, უნივერსალურ, გაცილებით ეფექტურ და უფრო მოკლე დროში, მშენებლობის განხორციელების პროექტის არსებობასა და ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანიის პროექტთან ერთად მისი განხილვის აუცილებლობას ეხებოდა, რაც მომხსენებელი ქალბატონებისთვის უცნობი აღმოჩნდა და ბუნებრივია, მათ პასუხებიც არ ჰქონდათ!

მათი თქმით, ზუგდიდსა და ანაკლიაში დაგეგმილი შეხვედრების მიზანი „საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის შემუშავების პროცესს ეხება“ რისთვისაც ინგლისურად მოსაუბრე ქალბატონებმა მოსვენებით მთლიანად „გარემოზე ზემოქმედების შედეგები“-ს ინგლისური და ლათინური ტერმინოლოგიების განმარტებებს მიუძღვნეს, რაც ძირითად თემას ნაკლებად პასუხობდა და მსმენლის ძირითად ინტერესს ვერ აკმაყოფილებდა.

გაოცრებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ქალაქ ზუგდიდში, მიუხედავად იმისა რომ, ამ საგანგებო შეხვედრაზე განსახილველი საკითხი ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელია, დარბაზი, როგორც ყოველთვის, ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით მოსული მსმენელებით იყო შევსებული. ზოგის გამოკლებით, დამსწრეთა მხრიდან მოსხენებისადმი ინფანტილური დამოკიდებულება, მაგრამ სრული მორჩილება იგრძნობოდა და ბუნებრივად, მათ არც შეკითხვებზე და არც მომხსენებელთა პასუხებზე შესაბამისი რეაქცია არ ჰქონიათ. მათ საკუთარი ვალი მოიხადეს, მოვიდნენ, მოისმინეს, ტაში დაუკრეს, დასასრულს ყავა მიირთვეს, ნამცხვარიც მიაცილეს,

დაიშალნენ და სახლებში დაბრუნდნენ! ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ახალს და საინტერესოს ბევრს ვერაფერს გავიგებდით, რადგან - გარემოზე ზემოქმედების შედეგების კვლევა და დადგენა სამშენებლო პროექტის არსებობის შემთხვევაში ხდება, რაც „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ ჯერჯერობით არ გააჩნია.

სწორედ ამ შემთხვევამ მიბიძგა კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს, რომ 2013 წლიდან დაწყებული, არაერთხელ დამიწვრიდა და გამომიქვეყნებია სხვადასხვა გაზეთებსა და ინტერნეტგამოცემებში რომ - „ანაკლია პორტი და ახალი აბრეშუმის გზა საქართველოს გავლით არ არის უალტერნატივო და მას განსაკუთრებულად სათუთი დამოკიდებულება სჭირდება, როგორც ტენდერში გამარჯვებული კომპანიის, ასევე მასპინძელი სახელმწიფოსა და მისი მთავრობის მხრიდან!

ასევე გარკვევით ვწერდი - როცა „ახალი აბრეშუმის გზაზე“ ვსაუბრობთ, საქმეში ჩახედულ მკითხველს, ბუნებრივია, მისი მთავარი აღმძრავი და მასუღღმულებელი გიგანტი სახელმწიფო ჩინეთი დაუდგება თვალწინ და ნათელი ხდება „ანაკლია პორტი“ მხოლოდ ჩინელების მონაწილეობის შემთხვევაში შეიძლება ამ ათასწლეულის პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდეს.

მკითხველმა იცის, რომ - ჩინელები, კონსორციუმს „ანაკლია პორტ და ეკო პარკთან“ ერთად, საქართველოს მთავრობის „გულმოდგინე“ მეცადინეობით, თამაშარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის შესახებაც დაწვრილებით მაქვს მონაყოლი და ამიტომ მკითხველს დროს აღარ დავაკარგინებ.

მე მხოლოდ 2014 წელს ლიხტენშტეინის დელაქალაქ ვალუცში, საბანკო ექსპერტებთან ერთად „ანაკლია პორტი და ეკო პარკის“ პროექტის განხილვის შემდეგ დადებული დასკვნის მოკლე შინაარსს გავიხსენებ:

„ბატონებო, 10-15 წლის წინ რომ ვინმეს ამ დარბაზში განსახილველად მოეტანა პროექტი, სადაც, შავი ზღვის აუზში მდებარე პროვინციაში - ანაკლიაში - 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის ღირებულებით პორტის მშენებლობისა და მისი დაფინანსების შესახებ, სიბრალულით შეეხედავდით მას.

დღესათვის მსოფლიოში ტვირთბრუნვის გეოგრაფია რადიკალურად შეიცვალა, საბოლოო პროექტის მომხმარებელად მითანის პროცესის საგრძნობლად დაჩქარდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ევროპაში გაყიდული საქონლის სამოცდაათ პროცენტზე მეტი ჩინეთშია დამზადებული. განმარტება არ სჭირდება იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „ახალი აბრეშუმის გზის, კავკასიის დერეფნის და ანაკლიის ღირებულებანი პორტის გავლით“ მშენებლობა.

რაც შეეხება კონსორციუმს „ანაკლია პორტი და ეკო პარკის“ მიერ შემოთავაზებული პროექტის დამფინანსებლების ჩამონათვალს, იგი უნიკალურია, სადაც წამყვანი პოზიცია ჩინურ სახელმწიფო გიგანტ კომპანიას „პაუერჩაინას“ უკავია. ის, რომ საქართველოს სახელმწიფო არ აძლევს საბანკო, ან სახელმწიფო გარანტიას ტენდერში გამარჯვებულს და მიუხედავად ამისა, ჩინური სახელმწიფო კომპანია „პაუერჩაინა“ მზადყოფნას გამოთქვამს დააფინანსოს პროექტი, თვითონვე ააშენოს იგი, და მისი ექსპლუატაციაც უზრუნველყოს, პროექტის გარანტირებულ წარმატებას განაპირობებს. ბატონებო, ეს ის შემთხვევაა, როცა საქმის დაწყებას, პროექტის მასპინძელი ქვეყნის მთავრობის კეთილი ნება აკლია მხოლოდ!

სამწუხაროდ, სწორედ „პროექტის მასპინძელი ქვეყნის მთავრობის კეთილი ნება“ დააკლდა კონსორციუმს „ანაკლია პორტი და ეკო პარკს“ და მასში შემაგულ ჩინურ გიგანტ კომპანია „პაუერჩაინას“!

ამიტომაც, დღეისათვის აგონიაში მყოფი ქვეყნის მთავრობა და მისი რწმუნო, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“, იგივე „საზარაქი და კონსი ჯგუფი“ გვთავაზობს სხვადასხვა ზღაპარს, 100 მილიონი ტვირთბრუნვის ღირებულებით პორტის აგებისათვის, ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის გასახლების გარდაუვალი აუცილებლობის დასადასტურებლად.

ორი დღეა რაც ანაკლიიდან ჩამოვედი. საკმარისი დრო მქონდა ფიქრისა და კითხვებისთვის:

- რატომ არ განიხილავს საქართველოს მთავრობა ძირითად პროექტს, რომელიც ბატონი თეიმურაზ ქარჩავას დაკვეთით ბატონმა სპარტაკ ერავიამ შეასრულა და რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს მოსახლეობის გასახლებას?

- რატომ აქვეყნებს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ საეჭვო ესკიზ-ნახატებს მისავე დაარსებულ ურნად „ანაკლიაში“ და ინტერნეტსაიტებზე, სადაც აშკარად ჩანს რომ მისი წლიური ტვირთბრუნვა 25 მილიონ ტონასაც ვერ გაწვდება და „პორტის საბოლოო სახეს“ უწოდებს მას?

- რომელი ჭკუათმყოფელი ინვესტორი დააფინანსებს 9 ეტაპად დაყოფილ, თითქმის 30 წელზე გაჭიმული პორტის მშენებლობის პროექტს, როგორც ეს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციებიდან ჩანს?

- ვინ იწინასწარმეტყველებს 30 წლის შემდეგ, რა სახის სატრანსპორტო საშუალებები იქნება აქტუალური?

ვინც და როგორც არ უნდა ეცადოს, ხალხს ვერაფერს მოატყუებს, რაც არ უნდა უტყვი იყოს - ხალხი ბრძენია! და, მეც ყურში ჩამესმის მათი დასკვნა 9 დეკემბერს ანაკლიაში გამართული შეხვედრის შემდეგ:

„ჩვენ კარგად გვესმის რომ სახელმწიფოს პორტის ასაშენებელი თანხები არ გააჩნია და ეს დასაძრახი არ არის მაგრამ, თუ სახელმწიფო ჩვენგან იაფად ნაყიდი მიწებით აპირებს პორტის აშენებას - ხაზარაქი რა შუაშია?

ტყუილად თავს ნურავინ შეიწუხებს - ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი, მამაპაპისეული კარმიდამოს ფასი და ნურავინ შეეცდება ჩვენზე ზემოქმედებას, ჩვენ სახელმწიფოს მიწებს არ მივიყიდით, რადგან სახელმწიფო არ აშენებს პორტს, როგორც გვითხრეს პორტს ინვესტორი აშენებს და ჩვენც მხოლოდ ინვესტორს დაველაპარაკებით!“

მე არ მიცლია ცეცხლზე ნავთი დამესხა და მეოქვა - უბედურება ის არის, რომ, არც ინვესტორი და არც პორტის ასაშენებელი ფული არ არსებობს! თუმცა, ისევე ანაკლიელებმა ამისწინა:

„ჩვენ გვეჯერა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი მართლა ააშენებს ხუთვარსკვლავეთი სასტუმროს და უნიკალურ ბოტანიკურ ბაღს განმუხურში. ანაკლიას მიშა სააკაშვილის დროს აშენებული სამი სასტუმროს ამარა ხომ არ დატოვებენ. განმუხურში დაწყებულ მშენებლობებს ანაკლიამაც უნდა აუწყოს ფეხი და ამიტომაც სჭირდებათ ჩვენი მიწები. იმასაც ამბობენ - ასეთ საკურორტო დასახლებას პატარა პორტიც დასჭირდებათ! თუ ეს ასეა, ჩვენთან სასაუბროდ მთავრობის წარმომადგენლები ნუ მოვლენ, ჩვენთან ბატონი ხაზარაქი და მისი ინვესტორები მოვიდნენ!“

მეც მათ ვუერთდები, როგორც ურნად-ლისტი და ანაკლიელი და კატეგორიულად მოვითხოვთ - მომავალში მთავრობამ და ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ იგივე „საზარაქი და კონსი ჯგუფმა“ მეზღაპრე გოგონები კი არ გამოგვიგზავნონ ანაკლიაში, არამედ პორტის მშენებლობის სპეციალისტები და მისი დამფინანსებლები!

დავით ძოგალია

P.S. ორი კვირის წინ, საქართველოს მთავრობა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ კაპიტალის 0,01 პროცენტი წილის მფლობელი გახდა. საინტერესოა რას ნიშნავს 0,01 პროცენტი, რა თანხას შეადგენს იგი? რა მიზნით ვადავლა მთავრობამ ეს ნაბიჯი? იმისთვის ხომ არა, რომ თავისი შეფარული განზრახვა „სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის გამო“ ანაკლიელების აუცილებელი გასახლების საკითხი გაამართლოს და ამით პრობლემები მოუგვაროს ხაზარაქი-კონსი ჯგუფს?

აქვე უნდა აღვნიშნო, ზემოთხსენებული ნამდვილად ვერ გამოდგება წყალგაუვალ არგუმენტად ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებლად, რადგან იგი არ გახლავთ უალტერნატივო.

მკითხველს უნდა შევახსენო, - „სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის გამო“ მოსახლეობის უპირობო გასახლება მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ მას ალტერნატივა არ გააჩნია!

კონკრეტულ შემთხვევაში, ხაზარაქი და კონსი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომელიც ანაკლიის უბეგლეს დასახლებაზეა დამიზნებული, პირდაპირ იმეორებს სააკაშვილისეულ „ლაზიკა პორტს“ და თეიმურაზ ქარჩავას დაკვეთით, სპარტაკ ერავიას მიერ შესრულებული პროექტის, რბილად რომ ვთქვათ, მახინჯი ალტერნატივაა!

მკითხველმა ისიც მინდა იცოდეს, რომ - სწორედ სპარტაკ ერავიას შექმნილი პროექტით გაცნო საქართველოს მთავრობა ანაკლიაში ღრმაწლეოვანი პორტის მშენებლობის იდეას!

...ისე, ვაჭყობ, თუ არ დავანქარე, ეს სტატია უსასრულოდ გამოგრძელდება, რადგან ყოველდღე ახალახალ „ადმოჩენებს“ გვთავაზობენ მედიასაშუალებები, სადაც, სამწუხაროდ, არც ისე კომპეტენტური და ანაკლია პორტის საკითხებში გაცნობიერებული პირები გამოჰყავთ (თუმცა თანამდებობები და ექსპერტის იარაღი არცერთ მათგანს არ აკლია), მაგრამ, ის, რაც 17 დეკემბერს „ბიზნეს კურიერში“ მოვისმინე, მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. ვთავაზობთ მოკლე სტენოგრამას ამ გადაცემიდან:

„ბიზნეს კურიერის“ წამყვანი აკაკი გოცინაიშვილი:

„ამ კვირაში გადამზიდავ კომპანიებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა ფოთის პორტის დაკეცვამ. მიზეზი კი ის იყო რომ პორტში შესასვლელი შლამით გაივსო და გემებს ვეღარ იღებს, არადა ესეც და სხვა ინფრასტრუქტურული განვითარება პორტის ინვესტორის ვალდებულება იყო, რაზეც 250 მილიონი დოლარი უნდა დაეხარჯა და ორი ახალი ნავმისადგომი აეშენებინა, თუმცა საინვესტიციო პროექტი გაჩერებულია.“

ამ ფონზე გაუგებარია მთავრობის გადაწყვეტილება, რომ - ბიუჯეტიდან 100 მილიონს დახარჯავს ანაკლიის მოსახლეობისგან მიწების გამოსასყიდად, რომ ინვესტორმა იქ ახალი პორტი უნდა ააშენოს და კიდევ 100 მილიონს მას სესხადაც მისცემს...“


„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ მამუკა ხაზარაქი: „პირველი ეტაპი არის 600 მილიონი დოლარი, მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დიდი საფინანსო ინსტიტუტებისთვის და ასევე კერძო ინვესტორებისთვის დაინახონ მზაობა არის თუ არა სახელმწიფოს მხრიდან, ამ პროექტთან დაკავშირებით. ჩვენ მემორანდუმში გავაფორმეთ, თუმცა ამ 100 მილიონთან შეხება იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ინვესტიციაში ჩვენი მხრიდან ჩაიდება დაახლოებით 300 მილიონი დოლარი. კიდევ ნებისყოფი, ეს არის საკრედიტო ხაზის სახით, ეს არ არის კაპიტალში ინვესტირება, ეს იქნება ყველაზე ძვირი კრედიტი, სხვათაშორის ეს აღნიშნულიც არის... თუ ჩვენ დაეინახეთ, რომ, რადაცა კატაკლიზმების გამო ჩვენ გავგეჰტირდა, აუცილებელია სახელმწიფომ დაანახოს ყველა ინვესტორს, რომ იგი მზად არის შემოვიდეს ამ პროექტში, სწორედ ამისთვის არის ეს ბაიში...“

ტელეგადაცემის წამყვანს შეიძლება ეპატიოს იმის არცოდნა, რომ „სახელმწიფო ტვირთბრუნვის დაცემას“ არაფერი აქვს საერთო „ანაკლიაში ღრმაწლეოვანი პორტის“ მშენებლობასთან (მე იგი სტატიის პირველ ნაწილში მოკლედ ავხსენი, თუმცა, ვაჭყობ, სხვა დროს მომიწევს მასზე უფრო დეტალურად საუბარი), მაგრამ ტენდერში გამარჯვებული ხაზარაქი რომ სახელმწიფოს ავალდებულებს - „ვინცობაა ფეხი დამიცურდეს, ასი მილიონი დოლარი უნდა მომაშველო“ - ქვეყნის მთავრობის და მეგასაინვესტიციო პროექტის აბუნად ავადება!

ყველაფერი ეს კი, საახალწლოდ, ეროვნული ვალუტის აგონიის პარალელურად ხდება, მაშინ, როცა, ქვეყნის ერთგული მთავრობისა და კეთილსინდისიერი ინვესტორის ხელში - ანაკლია-პორტის პროექტი, სულთმოპოვებელი ქვეყნის, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გარანტი უნდა გამხდარიყო!

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანია

როგორ გაიყვანა სინგაპურელი თაღლითა ნიბერია მსოფლიოს ჩემპიონატზე



შეიძლება, გსმენიათ უილსონ რაჯ პერუვალზე - უამრავი გარიგებელი მატჩის ორგანიზატორ სინგაპურელზე...

დამწყები თაღლითებისთვის ეს კარგი სახელმძღვანელოც შეიძლება იყოს, მაგრამ სხვა კუთხით თუ შევხედავთ საკითხს, იქნებ, პრევენციისთვის უფრო გამოდგეს და სპეცსამსახურებმა კიდევ გაააქტიურონ ბრძოლა საფეხბურთო მაქინაციების წინააღმდეგ...

როცა 2011 წელს ის ფინეთის პოლიციამ დააკავა, მობილურ ტელეფონსა და ლეპტოპში აღმოაჩინდა 80-მდე ქვეყნის საფეხბურთო ჩინოსნებისა და ფეხბურთელების კონტაქტები თუ ელფოსტის მისამართები.

გარიგებების დიდოსტატი პერუვალი დაკავების შემდეგ სამართალდამცავებსაც გაურიგდა და პირი მოაღო. სანამ ის ამ ისტორიებს დაფქვავდა, ფიფას უსაფრთხოების სამსახური ჩვეულებრივი ყოველდღიურობით ცხოვრობდა, აი მერე კი, ფიფას კაბინეტებში შუქი გვიან დაემდეგ არ ჩამქარადა...

გადაფურცლავ მის წიგნს და აღმოაჩენ, რომ ფიფას რეიტინგის პირველ ასეულს ქვემოთ ფეხბურთი, როგორც ასეთი, არ არსებობს. თუმცა უცოდველები არც პირველ ასეულში არიან. თავის წიგნში, რომლის სახელწოდებაცაა "გარიგების მუყეუბი", პერუვალი იხსენებს, როგორ გაემტხა-

ვრა ინგლისში ახალი ბაზრის ასათვისებლად.

მაშინ მისი ერთ-ერთი სამიზნე "ნელსის" ყოფილი მეკარე დემეტრი ხარინი იყო. პერუვალმა და მისმა თანამზრახველმა მარტივ სერეს მიმართეს - რუს ფეხბურთელს ბაზის შესასვლელთან დახვდნენ და თავი გულშემატკივრებად გააცნეს, ფოტოები გადაიღეს და სთხოვეს - იქნებ, მანქანით ქალაქის ცენტრამდე გავიყვანო. გზაში პერუვალმა 60 ათასი დოლარი შესთავაზა ხარინს, როგორმე ისე მოეხერხებინა, რომ "ნელსის" უახლოესი მატჩი წავუგო. მეკარემ უარი თქვა...

- მან აგვიხსნა, რომ "ნელსისთან" ხანგრძლივი კონტრაქტი აქვს და რომ არ სურდა ფულის გულისთვის კარიერის დანგრევა, - იხსენებს პერუვალი ინტერვიუში.

- თქვენ ჩაუჯექით მანქანაში უცნობ ადამიანს და პირდაპირ ფული შესთავაზეთ. როგორ შეიძლება ასეთი რამ?!

- რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმოდა, რომ ვრისკავდით. რა გარანტია გვქონდა, რომ მაშინვე პოლიციას არ აცნობებდა? არანაირი! როგორც კი მან მანქანიდან ჩამოგვსვა, პირველივე შემხვედრი ტაქსი გავაჩერეთ, რათა იქაურობას რაც შეიძლებოდა სწრაფად გავცლოდით...

იქვე პერუვალი იხსენებს ხარინის მონაყოლ ამბავსაც - თურმე, რუსი მეკარისთვის მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის დროსაც შეუთავაზებიათ თამაშის დათმობა და მაშინაც უარით გაუსტუმრებია თაღლითები.

ბავშვობაში პერუვალი სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ ადრეულ ასაკშივე გაიფუჭა ბიოგრაფია. ის დედას ფიქრებს გარკვეულ მატჩებზე და ძალიან ბრახდებოდა ხშირი წაგების გამო. ამიტომაც გადაწყვიტა, თავად ყოფილიყო გარიგების ორგანიზატორი და ამ გზით ეშუაღო ფული.

ის გაწვერიანდა დიდ სინგაპურულ სინდიკატში, რომელსაც ვინმე დან ტანი ხელმძღვანელობდა. ინტერნეტის განვითარებამ მისი შესაძლებლობები კიდევ უფრო გააფართოვა. განიდა საშუალება არამარტო სინგაპურის ჩემპიონატის

მატჩებით, არამედ, თვით მსოფლიო ფეხბურთით მანიპულირების.

ონლაინ-რეჟიმში შესაძლებელი გახდა ფსონების დადება არა მხოლოდ შედეგებზე, არამედ სხვადასხვა პოზიციებზე - კუთხურები იქნება ეს, ჯარიმები, თამაშის დაწყება თუ ათასი რამ...

პერუვალმა აღწერა შემთხვევა, როგორ გადაუხადა ფული პეკინის ოლიმპიადის საფეხბურთო ნახევარფინალში მონაწილე ნიგერელებს იმისთვის, რომ არგენტინასთან მატჩი მათ დაეწყო. მერე მან ამ პოზიციებზე დიდი ფული დადო და თამაშს ჩაუჯდა. აქ იყო ერთ-ერთი კრიტიკული მომენტი მის ისტორიაში - მატჩის დაწყების წინ არბიტრმა მონეტა ააგდო და არგენტინელთა კაპიტან ხუან რომან რიკელმეს მიუთითა - პირველი დარტყმა თქვენიაო. ის იყო, რიკელმეს ეს თანაგუნდელებსთვის უნდა ეცნობებინა, რომ ნიგერელები კაპიტნის ხმა გაიგონა, მიუბრუნდა, მოუსმინა და... უთხრა - არ არის პრობლემა, თქვენ დაიწყეთო!..

კითხვა პერუვალს: - ანუ, ყველა გარიგებელი მატჩის მიზანი ფსონებზე ფულის მოგებაა?

- არ არის აუცილებელი. ტოპ-ლიგების კლუბების პრეზიდენტებს უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთთან კარგი ურთიერთობები აქვთ. მათ, უბრალოდ, შეუძლიათ, გარიგდნენ ერთმანეთში, თუ რომელიმე კლუბს კონკრეტულ მომენტში ქულები სჭირდება და აქ არანაირი ფინანსური მიზეზი არ არსებობს.

თავის წიგნში პერუვალი წერს, რომ ცდილობდა, შორს დაეჭორა თავი აღმოსავლეთევროპული ბაზრისკენ და ძირითადად აფრიკელებზე ეშუაგა. თუმცა მას ყველაგან ბევრი პარტნიორი ჰქონდა და თუ მსუყვე ლუკმა ჩაუვარდებოდა ხელში, უარს არც ამაზე ამბობდა. მისი ინფორმაციით, ადრე ყველაზე მარტივად ბელარუსის ქვედა ლიგების მატჩები ეწვეოდა, თუმცა დღეს...

- დღეს იქაური ფეხბურთი გაცილებით სუფთაა, - ამბობს პერუვალი, - მე ვაკვირდები ფსონებს და ისინი ძალიან სტაბილურია. სწორედ აქედან ვასკენი, რომ ბელარუსში ახლა აღარ ხდება ისეთი

გარიგებები, რადიტიც ეს ადრე იყო. პოლიციამ მასზე პირველად სწორედ 90-იან წლებში შეიტყო. 1995 წელს მას ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ქრთამის შეთავაზების მცდელობის გამო.

როგორც თავად ამბობს, ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 2009 წელს, როცა ნიგერიის ნაკრები... მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. მან დაურეცა მოზამბიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და შესთავაზა 100 ათასი დოლარი იმაში, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს როგორმე ფრედ ეთამაშა ტუნისთან პარალელურ მატჩში. მოზამბიკელებმა იბრძოდნენ და მართლაც დააკარგინეს ქულები მათზე ძლიერ მეტოქეს, რამაც ნიგერიას გაუხსნა გზა.

როგორც პერუვალი ამტკიცებს, მაშინ ნიგერელებსგან ერთი ცენტრიც არ აუღია. სამაგიეროდ, იქაურ ფეხბურთის ფედერაციას სთხოვა, ნიგერიის ნაკრებისთვის წინასწარმპიონატო შეკრებისა და ამხანაგური მატჩების ორგანიზების უფლება მიეღო. რა ძნელი მისახვედრია, რომ სწორედ ამ ამხანაგურ მატჩებში იშოვნიდა პერუვალი "ჯიბის ფულს".

ცხადია, მას ჰქონია ჩავარდნებიც. პირველი ასეთი შემთხვევა 1997 წელს მოხდა. მან 100 ათასი დოლარი გადაუხადა ზიმბაბვეს ნაკრების ფეხბურთელებს ბონინასთან 0:4 წაგებისთვის. საიდან სადაო და, გაურკვეველი მიზეზების გამო ეს მატჩი მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში ჩატარდა და 2:2 დასრულდა. პერუვალმა ამ ფაქტს "უბედური შემთხვევა" უწოდა.

- ცხოვრება თავგადასვლებისთვისაა შექმნილი, - ამბობს ის, - ეს თავგადასავლები კი არასოდეს მომკლებიან. სიამოვნებას ვიღებდი იმისგან, რასაც ვაკეთებდი. მეორე ცხოვრება რომ მქონდეს, რომელიმე თრილერში მოხვედრას ვისურვებდი.

- ახლა რით ხართ დაკავებული? - არაფრით. უმუშევარი ვარ და ძალიან გამიხარდება თუ რაიმე სამსახურს შემომთავაზებთ...

ქართულ-იბერული (მებრული) ლექსიკონი

- აბანო - ობონუემი; აბადვა - აბადუა; აბა, როგორ - აბა, მუჭო; აბა-უბა - პუტი-პუტი; აბდღენა-ეტივიტუა; აბზეკა - აცაცუა, ეციკინაფა; აბზეკილი - აცაცირ, ეციკი-ნაფორ; აბზეკა - ლექქვიში გილაღ-ვაღა; აბზეკული - ლექქვი გილაღ-ვაღარი; აბია - გეკირუ, გეტოლუ; აბინიურებდენ - ანბურენდეს; აბლანდვა - აბანდუა; აბრჭყვიადლება - ეჭყვიარებუ; აბრჭყვიადლება - ეჭყვიარაფა; აბრჭყვიადლებული - ეჭყვიარაფილ; აბჯარი - ჭკადირ, რშილ, ანჯარი; აგარაკი - ჰავონა, ჰავა, სვენჯა, ჰავა; აგება - აკოგაფა; აგებულება - ეგა (მგ), ანგარია; აგერ - ამარ (ნაწ); აგვისტო - მარშიონა, არგუსო; აგუნება - ერზამა, ააღება; აგუნებული - ერზამილ, ერზამილიხე (მდ.) ააღებურ, ააღებურიხე (მდ); აგიზიზება - ებარბანაფა; აგიზიზებული - ებარბანელ; აგუნებებული - აგურგინაფილ (ცეცხლი); აგრეთვე - თაშოთ;

- აგურა - ანგურა; აგურისფერი - ანგურაშფერი; ადამიანი - ანთერ (მგ) ადამიერ, ადამიშ სკი. (შეად. გალოტქმა: ათადან და ბაბადან; ათა-ანთა-ანთერ; ათა-ათამ-ადამ. ღვთაება შინ ანთარ, გვარები: ანთია, ანთელა-ვა; ადგილი - აკან (ზოგადად, ლოკალურად); აბან, ადგილ (ზოგ); ვარჩე (თბილი, ნაყოფიერი); ფიჩორ (გრცელი); თირიაღე (დიდ-თოვლიანი); კადარ (ქვიანი); კოხორა (ქვადორდიანი); ლეცეთ (მც-მოსავლიანი); სორგაში (უხე-მოსავლიანი); ჟონე (წყლიანი); მარუხ (ლოდების ცვენი), ფარე (ბურქოვანი), ჩხიამ, ჩხიონა (ჩანჩქრისანი); ადგილ-ადგილ-აკანო; ადგილ-მამული-აკან-მუშაღონ; ადგილ-მდებარეობა-აკან-რეონ; ადგილ-მონაცვლეობა-აკან-მითორა; ადგილობრივი-აკანარ, ადგილარ; ადგილსამყოფელი-აკან-ორინალ, მოსადიო; ადგმა-ადგუმა; ადგომა-უდგინა; ადგილი-ლექინ; ადლი-აღაბ; ადრე-ადრე; მაღნაზ-ლაზარე ბრიბოლია

„მიწა უცხოელეზზე მხოლოდ მაშინ უნდა გასხვისდეს, თუ სახეზე გვამდნება მსხვილი საინვესტიციო პროექტი“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თვა წულუკიანის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე გამოაცხადა მორატორიუმი, ეს აკრძალავს კი, გიორგი პაპუაშვილის ხელმძღვანელობით, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა. „ამის შემდეგ აღმოჩნით რეალობაში, როგორი რეალობაც არის დღეს - უცხოელს აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ პირობებში, მისთვის საინტერესო ნებისმიერი მიწის ნაკვეთი შეიძინოს. ჩვენ გვაქვს მცირე რესურსი, ამას 4 წელია ვამბობ და დღესაც ვიმეორებ. ამიტომ, თუკი ის გასხვისდება, უნდა გასხვისდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მსხვილი საინვესტიციო პროექტი“, - განაცხადა მან. იუსტიციის მინისტრის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრემიერთან შეთანხმებით, წინა მოწვევის პარლამენტში იუსტიციის სამინისტროს მიერ გადაგზავნილია შესაბამისი კანონპროექტი. „ახალი მოწვევის პარლამენტმა კანონპროექტი დღის წესრიგში ჩასვა და იმედი მაქვს, განხილვები იანფრიდან დაიწყება“, - განაცხადა თვა წულუკიანმა.

გამოვიდა შურნალ „აია“-ს მომდევნო ნომერი (№20), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი ბიორბი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშვენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1. შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს წარმომადგენლობაში, ზუგდიდში. ტელ. 2-38-03-11 შურნალის ფასია 4 ლარი.

გარდაიხველა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მკვდარ ნაყოფს. ფარმაცოლოგიის, მის დაქირავს რომ სდილობდა. ღონისძიება ბაზნიძის მიერ შექმნილი პროგრამა არჩენს ათვისებები სიმინურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფაღობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხასილს, ნერვის ანთებას, ნევროსს, ფსიქიურად დაავადებულებს, პეუნანეს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, (3-ე პატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სასრებების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო. კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოფილდღე - 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48 მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან